619
1953 / ჲ

# დროშა

№ 11, ნოემბერი 1953

ეროვნული ბიბლიოთეკა





ს. ლუდნიკი. „ავრორას" გასროლა.

გარეკანის პირველ გვერდზე: მხატვარ სოკოლოვ-სკალიას სურათის ფრაგმენტი „ზამთრის სასახლის იერიში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 11 (28) ნოემბერი 1953 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი


ეროვნული ბიბლიოთეკა



პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ვ. ი. ლენინის მოედანზე 1953 წლის 7 ნოემბერს. მთავრობის ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები **მ. პ. გიორგაძე, ა. ნ. ინაური, მ. ი. კუჭავა, დ. ზ. რომელაშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე, ა. ი. ანტონოვი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ო. დ. გოცირიძე, ა. ლ. გუნია.** ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

ამას წინათ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ესტუმრნენ მოსკოვის ოლქის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას.

ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია დიდი ინტერესით გაეცნო მოძმე რუს კოლმეურნეთა მიღწევებსა და გამოცდილებას, რომლებთანაც ისინი ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფოტოზე—მარჯვნივ: მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ა. კარტოზია და ბრიგადირი პ. ეფრემიძე ათვალიერებენ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბოსტანს.

ქვემოთ: მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. ლამზიჩკინი უზიარებს ქართველ კოლმეურნეებს კარტოფილის მოსავლის გადიდების გამოცდილებას.

ფოტო რ. დიამენტისა

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი





ივანე თარბა

## უფროსი ძმა

არ ვართ შვილები ჩვენ ერთი დედის,
მამაც არა გვყავს ორთავეს ერთი.
მაგრამ მერწმუნე მაინც რომ შენი
ძმური ტრფიალით მიღელავს მკერდი.

ტყვიით გამწვარი მაზარა გეცვა,
(საუბარს შენზე აქედან ვიწყებ),
თუნდ, ვით ბაბუა მოვხუცდე მეცა,
იმ დღის სიხარულს ვერ დავივიწყებ.

როს ჩემს ეზოში პირველად გნახე,
შენმა სტუმრობამ გამთბო გული.
მარად ვიგონებ შენს კეთილ სახეს,
წრფელია, წრფელი ეს სიყვარული.

როს საქართველოს მოადგა რისხვით
მტერი და ჩვენს მთას დაარტყა ტორი.
კავკასიონთან დაღვარე სისხლი,
გმირულად ჰქუხდი მებრძოლთა შორის.

როს შეწყდა სროლა და გამარჯვების
სიტყვებს ისმენდი ომში ქებული.
შენ ომგადახდილ ძმებს შორის იყავ
ყველაზე მეტად წარჩინებული.

ვინ მოსთვლის ერებს სადაც უგრძნიათ
შეხება თბილი მაგ ძმური ხელის.
შენ სიმართლისთვის მებრძოლი გქვია,
მებრძოლი მტკიცე, ქედმოუხრელი.

არ ვართ შობილნი ჩვენ ერთი დედის,
გვყავს დედა ერთი — სამშობლო ჩვენი.
ჩვენი ბედია სამშობლოს ბედი,
ვხარობ ამ დიდი ოჯახის ლხენით.

სიხარულს უყოფ ჩვენს მთებს და ჭალას
რუსო კეთილო, ტკბილმოუბარო.
წინამძღოლი ხარ და მმატებ ძალას
უფროსო ძმაო და მეგობარო.

ჩვენს ურყევ ძმობას ვერვინ ვერ დაშლის
ჩვენი ხმა ყველგან დღეს ერთად ისმის.
წინ კომუნიზმის მზე ბრწყინავს, ფრთებს შლის
და უკვე გვათბობს სხივები მისი.

ჩვენს დიდ ოჯახში ერთი სულია,
და ერთად ვხვდებით დარსა და წვიმას.
ეს დროშა ვისიც აღმართულია,
სამარადისო დიდება იმას!

თარგმნა აფხაზურიდან
ბონდო კეზელაძემ



ტ. ნადირაშვილი ხორცს ათვალიერებს მაცივარში გაგზავნის წინ. ფოტო ვლ. გინზბურგის

# აქ მზადდება „მოსკოვური", „თბილისური", „უკრაინული"...

დაკეპილი ხორცი ჩანჩქერივით სამოდის მანქანა „ვოლჩოკიდან". მეორე სართულიდან თუნუქის მილით იყრება მანქანის პირში ხან ძროხის, ხან ღორისა და ხან ცხვრის ხორცის ნაჭრები. ძეხვეულისათვის ხორცის მასა მზადდება ასორტიმენტის მიხედვით. „ვოლჩოკთან" ფუსფუსებს მთავარი ოსტატი, რომელმაც იცის, თუ როდის რა ხორცია მისთვის საჭირო.

სხვადასხვა ასორტიმენტს ხომ სხვადასხვა რეცეპტი აქვს. მაგალითად ძეხვ „მოყვარულთათვის" საჭიროა 40% ძროხის ხორცი, 35% გამხდარი ღორის ხორცი და 25% ღორის ზურგის ქონი. ეს რეცეპტი კარგად იცის ოსტატმა და ამის მიხედვით ამუშავებს მანქანას.

„ვოლჩოკის" მიერ დაკეპილი ხორცი მიდის მეორე სახის მანქანებთან, რომლებსაც „კუტორები" ჰქვიან და მეტსახელად „ამრევ მანქანას" ეძახიან. აქ ხდება ამ დაკეპილი ხორცის მასის კიდევ უფრო წვრილად დანაყვა. აქვე ახდენენ მის შეკმაზვას — უმატებენ სხვადასხვა სახის სპეციებს (შავი პილპილი, ბაჰარი და სხვ.). ხორცის მასას ეძლევა სასიამოვნო არომატი და გემო. ამ „არევაში" ხორცი უფრო წებოვანი ხდება.

ასე დამზადებული ხორცის მასა მიაქვთ შპრიცებთან. ახლა უკვე შეიძლება მისგან ძეხვეულის გაკეთება. შპრიცები ნაწლავებს ავსებენ ამ ხორცით. რამდენიმე ბრიგადა მუშაობს ძეხვეულის დამზადებაზე. მრავალნაირი სახის ძეხვს აკეთებენ ისინი. დაახლოებით 20-მდე სახელწოდების ძეხვეული გამოდის მათი ხელიდან: „მოყვარულთათვის", „მოსკოვური", „თბილისური", „პოლონური", „უკრაინული", „პოლტავური", „კრაკოვული", „სასაუზმო", „სოსისკები" და სხვ.

ბრიგადებს შორის ყველაზე საუკეთესოა ნაზიკო გოგიბერიშვილის ბრიგადა. იგი სოსისკებს ამზადებს, ყოველთვის მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს და გეგმასაც გადაჭარბებით ასრულებს. ამიტომ არის რომ ბრიგადის სამუშაო ადგილს ამშვენებს წარწერა „საუკეთესო ბრიგადა".

სხვა ბრიგადებიც სწრაფად მუშაობენ. ნაირ-ნაირი ძეხვეული მზადდება თვალის დახამხამებაში. მუშები ძლივს ასწრებენ მათ სტელაჟებზე ჩამოკიდებას. სტელაჟები ღუმელებთან მიაქვთ. ჯერ უნდა გამოიწვას ძეხვეული. მას სათანადო ფერი მიეცეს. შემდეგ გადააქვთ მეორე ღუმელში, სადაც ცხელი ორთქლის საშუალებით იხარშება ძეხვეული. ღუმელებიდან სტელაჟები გამოაქვთ, ახლა საჭიროა ძეხვების გაცივება. საამისოდ მზად არის შხაპების ოთახი. ცივი წყალი წვიმს. ესხმება ცხელ ძეხვებს, ასდის ოხშივარი. ნელ-ნელა ცივდება სტელაჟებზე განლაგებული ძეხვები.

ახლა უკვე საბოლოოდ მზად არის ძეხვი. მოხარშული ასორტიმენტის ძეხვეულზეა ლაპარაკი („მოყვარულთათვის", „მოსკოვური", სოსისკები და სხვ.).

მაგრამ არის ისეთი ასორტიმენტის ძეხვეული, რომლებსაც უფრო მეტი დრო სჭირდება დამზადებისათვის. ასეთებია მაგრად შებოლილი ძეხვები. ამ სახის პროდუქციის საბოლოო გამოყვანისათვის 23 დღე და ღამეა საჭირო.

მთელი ეს პროცედურა ხორცკომბინატის ძეხვეულობის საამქროს სამანქანო დარბაზსა და მის ახლო მდებარე ოთახებში მიმდინარეობს. ამ საამქროს ზემო სართულში კი ძეხვეულისათვის ხორცის მასის წინასწარ მოსამზადებელი პროცედურები სწარმოებს. ხდება ხორცის დარბილება: აცლიან ძვალს, შემდეგ ძროხის ხორცს ძარღვიანობის მიხედვით, ახარისხებენ (მაღალი, I და II ), ღორის ხორცის დახარისხება კი ხდება ცხიმიანობის მიხედვით; ძეხვეულისათვის ხორცს „მომწიფება" სჭირდება, ამიტომ მას აყრიან მარილს, სელიტრას და კასრებით ინახავენ „მოსამწიფებელ" განყოფილებაში. დარბაზში ტემპერატურა + 3°-დან + 6°-დე აღწევს. აქ ხორცს აჩერებენ 48 და 72 საათამდე. ხორცი „მწიფდება", უმჯობესდება მისი ხარისხი და გემრიელი ხდება.

თბილისის ხორცის კომბინატი ყოველდღიურად ათეულ ტონა ძეხვეულს ამზადებს. გამუდმებით მიაქვთ მანქანებს ძეხვეული გასტრონომიულ მაღაზიებისათვის, სასაუზმეებისა და ლუდხანებისათვის. ყველგან თავისი მომხმარებელი უცდის გემრიელ ძეხვებს. ყველა ასორტიმენტს თავისი მოყვარული ჰყავს.

ძეხვების საამქროს მუშები ი. შელკოვიკოვა და მ. ბესთაევა.



სილვა კაპუტიკიანი

## კომუნიზმის ჯარისკაცი

უკრაინაში დნეპარს ვესტუმრე უსაზღვროს, ფართეს,
ზვირთი კაშხალებს სადაც ებრძვის მძიმე თათებით...
სიგრძე-სიგანით თვალწინ მკვეთრად წამოიმართნენ
ურალის მხარის ცადაწვდილი გოლიათები.
ცისფერ ნაპერწკლებს უსასრულო ჩქერად ფანტავდნენ
შემდუღებლები ლითონისა, ჩამუხლილები,
განთიადიდან კვლავ მეორე განთიადამდე
მიაბიჯებდნენ ზღვაში ნავთის ჭაბურღილები.
მძიმე ბრძმედებთან შევუერთდი ახლის მშენებლებს,
სადაც ფეხს ვადგამ, თითქოს ახლად გამოვილვიძე,
სადაც კი მივალ, სიამაყით გაიხსენებენ:
ხშირად მოსულა ჩვენთან სერგო ორჯონიკიძე.

მოხუცი მუშის ნაამბობი გულს ჩამწვდა ერთგან,
ასე მიამბო: მისი ნახვა მეც წილად მერგო, —
ზაპოროჟელებს სიხარული გაგვიასკეცდა,
ქარხნის გახსნაზე რომ გვესტუმრა ძვირფასი სერგო.

და მივაშურეთ ყველამ ერთად ახალ შენობას,
ახედ-დახედა დამთავრებულს, მზადმყოფს სრულებით,
მთავარ შესასვლელს საზეიმო თაღი შვენოდა,
მორთულ-მოკაზმულს უამრავი ყვავილწნულებით.
სერგოს ეშხიან ულვაშებში გაჰკრა ღიმილმა,
გვითხრა: შევიდეთ, მეგობრებო, უკანა კარით,
ასე აჯობებს...
ნაკლს ზურგიდან უკეთ ვიხილავთ,
ჩვენს ქარხანაში დარჩენილი თუ სადმე არის!

თავგადაგებულ მებრძოლსა და ალალ მშენებელს
უყვარდა აწმყო და ოცნება დიად მყობადზე,
თეთრ კიტელს ხშირად საამქროში თვალს შევავლებდით,
ანდა დამტვერილს სადმე, ახალ მშენებლობაზე.
პირველი ღუმლის საძირკვლების თავად ჩამყრელი,
პირმშო ფოლადის მხურვალებით სახენაბანი
დაესწრებოდა ქარხნის პირველ ამუშავებას,
მუდამ უბრალო, მომღიმარი და თავმდაბალი.

არა სჩვევოდა შესვენება, დღედაღამ ასე
ილვწოდა იგი უანგარო გულით მგზნებარით,
რომ ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის უძლეველ გზაზე
მტკიცედ ეარა, ეზეიმა გამარჯვებანი.

მარო მარქარიანი

*
* *

(ციკლიდან „სიყვარულის სიმღერები“)

ამბობენ: სატრფოს მალვით შესტრფიან,
გრძნობას ნუ ამხელ, გული დარაზე,
დაე შინ დარჩეს... ხომ სულერთია,
ვისაც ვინ უყვარს ამ ქვეყანაზე.

ცდებიან. ტრფობა ის საწყაოა,
თუ რარიგ გხიბლავს წუთისოფელი,
გული გარემოს ვერსად წაუვა
და არის მასთან განუყოფელი.

ამაოდ უთქვამთ: გულში გაშლილი
ტრფობა — პირადი საქმეა ორის...
არა! სიყვარულს მე ვცნობ კავშირად
ჩემს გულს და მთელ ჩემს სამშობლოს შორის.

უთქვამთ: ხმამაღალ ჰანგს ნუ გაბედავ, —
გულის სიმღერით გარეთ ნუ მიხვალ;
შენს სახეს ვეტრფი შინაც, გარეთაც,
მე შენით სავსეს — ქვეყანა მიყვარს.

თარგმანი
მაყვალა მრევლიშვილისა

# ნასტია სავჩენკოს სამუშაო დღე

ალ. ივარდავა

თექვსმეტი წელია, რაც ნასტია სავჩენკო მშობლიური ბელორუსიიდან საქართველოში გადმოვიდა. მის ცხოვრებაში მეტად სასიხარულო მოვლენა იყო, როდესაც იგი დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრად მიიღეს და ყოველმხრივ დაეხმარნენ შრომასა და წინსვლაში.

ახლა რიგითი კოლმეურნე ქალი, შემოქმედებითი შრომის ადამიანი, დაუღალავად იბრძვის კოლმეურნეობის წინაშე დასახული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კოლმეურნეებს უჩვენებს ნოვატორული საქმიანობის მაგალითებს, მათთან ერთად ზრდის სასოფლო-სამეურნეო არტელის ქონებას.

მოწინავე მწველავმა სავჩენკომ 1952 წელს ხუთასი შრომადღე გამოიმუშავა; ხოლო პრემიაწანამატის სახით 4500 მანეთი მიიღო. მიმდინარე წლის ხუთ თვეში კი მისი შრომის წიგნაკში უკვე 220-ზე მეტი შრომადღეა ჩაწერილი.

როცა კოლმეურნე კარგად შრომობს, მას კარგად ცხოვრების საშუალებაც ეძლევა — ნასტიამ თავისი შრომითი დანაზოგით ახალი სახლის მშენებლობა დაიწყო და ამ ცოტა ხანში კიდეც დაამთავრებს.

ნასტია მოწინავე მწველავია. ამაში მას ხელს უწყობს არა მარტო მონდომება, ენერგია და საქმისადმი ერთგულება, არამედ მოწინავე საბჭოთა ტექნიკაც, რომლითაც უხვადაა აღჭურვილი ჩვენი საკოლმეურნეო ფერმები და მათ რიცხვში დიღმის ფერმაც.

სტალინური პრემიის ლაურეატმა კოროლიოვმა შექმნა ძროხის საწველი გაუმჯობესებული ახალი სამტაქტიანი მანქანა. იგი თავისუფალია ყველა იმ დეფექტისაგან, რაც დღემდე საზღვარგარეთ გავრცელებულ მანქანებს ახასიათებთ. ამ მანქანის მრავალგზის გამოცდამ ცხადჰყო, რომ ეს არის ერთადერთი სრულყოფილი მანქანა მთელ მსოფლიოში, რომელიც შესაძლებელს ხდის ძროხის ცურიდან რძის თითქმის მთელი რაოდენობით გამოწველას ისე, რომ ძროხის ცურს სრულიად არაფერი ევნოს. საბჭოთა საწველი მანქანა წარმატებით მუშაობს, როგორც დაბალი წველადობის, ასევე მაღალი წველადობის ფურების გამოწველისას.

ხანამ ზემოაღნიშნული აპარატით დაიწყებდა მუშაობას სავჩენკო, მონდომებით სწავლობდა კოლმეურნეობაში ორგანიზებულ მოსამზადებელ კურსებზე. აქ მან შესანიშნავად შეისწავლა ყველა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პრაქტიკულ საქმიანობასთან.

განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა სავჩენკო წველისათვის აპარატის მომზადების პროცესს. მუშაობის დაწყების წინ ამოწმებს აპარატის ვარგისიანობას, ცივ ამინდში აპარატს ცხელ წყალს გაავლებს, რადგან თბილი ჭიქების მიდგმით ძროხა უფრო ადვილად იძლევა რძეს.

ნასტია მჯედველობიდან არ უშვებს აგრეთვე ბოსელში სანიტარიის დაცვის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი წველის დროს. იმ შემთხვევაში, თუ ფური წევს, იგი მოწველამდე აყენებს მას, თბილი წყლით მობანს ცურს და ჩვრით შეუმშრალებს, საძროხეში ჰაერს გაანიავებს, ჩაიცვამს სუფთა ხალათს, ხელებს დაიბანს საპნით და თბილი წყლით. წველისათვის წინასწარ ამზადებს საჭირო ინვენტარს: სათადარიგო ვედროებს, თბილ წყალს, ჩვარს, პატარა დასაჯდომ სკამს, გასამშრალებელ ტილოებსა და სხვ.

ცხოველთა ჯანმრთელობა, ნაყოფიერება, პროდუქტიულობა, ზრდა-განვითარება და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების ნორმალური სვლა დიდადაა დამოკიდებული ცხოველის მინერალურ და ვიტამინურ კვებაზე, ამიტომ ნასტია ამასაც ჯეროვან ყურადღებას აქცევს.

ბაგური შენახვის პირობებში ნასტია სავჩენკო ყურადღებით ეკიდება სუფთა ჰაერზე ფურის ყოველდღიურ გასეირნებას. გასეირნება იწვევს კუნთოვანი სისტემის და მოძრაობის ყველა ორგანოს, სისხლის მიმოქცევისა და სასუნთქი სისტემის მოქმედების გაძლიერებას.

— უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე — ამბობს ნასტია სავჩენკო — ეს კი მეცხოველეობის დარგში მომუშავე ადამიანებისაგან მოითხოვს განუხრელად ვადიდოთ პროდუქტიულობა. ამისათვის საჭიროა უკეთესად და გონივრულად გამოვიყენოთ არსებული ყველა პირობა და შესაძლებლობა. ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს პარტიის მიერ დასახული დიდი ამოცანები.

მწველავი ნასტია სავჩენკო მუშაობის დროს.
ფოტო რ. აკოფოვისა



# მტს-ებში, სოფლისაკენ...

ვ. ქართველიშვილი

ტყვიაველი არჩილ ჯაშაშვილი თავის ტანკს მრისხანედ დააგელვებდა სამამულო ომის ფრონტზე. სულ იმის ნატვრაში იყო, მილიონობით გმირ თანამოძმეებთან ერთად მალე დაეთრგუნა ომის ხანძარი და ტანკიდან საყვარელ ტრაქტორზე გადამჯდარიყო, მშვიდობიან შრომას დაბრუნებოდა.

ეს ნატვრა მას ოთხი წლის გმირული ბრძოლის შემდეგ აუსრულდა, როცა იგი, ომის დამთავრების შემდეგ, თავის მშობლიურ სოფელს მხნეობითა და იმედებით სავსე დაუბრუნდა... უნდა გენახათ, როგორი სასოებით ეფერებოდა იგი ტრაქტორს, ხან აქედან შემოუვლიდა, ხან იქიდან, გეგონებათ, დიდი ხნის უნახავ პირმშოს შეხვდაო. რამდენიმე დღის შემდეგ მან მაგრად ჩაჰიდა ხელი ტრაქტორის საჭეს და თავის საქმეს მთელი სიყვარულით მიეცა. არჩილის ტრაქტორის გუგუნი გახურებული მუშაობის დღეებში ღამ-ღამობითაც არ წყდებოდა. ამ გუგუნში ხანდახან სიმღერის ხმებსაც გაარჩევდით. ეს ტრაქტორისტი მღეროდა ფრონტულ სიმღერებს.

1950 წლის გაზაფხულზე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არჩილმა ხელი უშვა ტრაქტორის საჭეს და სხვა სამუშაოზე გადავიდა. მაგრამ ჯაშაშვილი საბოლოოდ მაინც არ გამომშვიდობებია ტრაქტორს, მას არ მოშორებია იმედი, რომ კვლავ დაუბრუნდებოდა საყვარელ საქმეს.

და აი, როცა კოლმეურნეობაში, სადაც ის მუშაობდა, აგიტატორებმა გაზეთში გამოქვეყნებული ისტორიული დადგენილება წაიკითხეს, სიტყვაძვირი არჩილი მეტისმეტად ენაწყლიანი გახდა. ტრაქტორისტს გული, მთელი არსება მტს-ში მიუწევდა.

ტყვიავის მტს-ი ახლად ორგანიზებული კოლექტივია. იქ სიხარულით მიიღეს ჯაშაშვილი და რკინის ფალავანი „უნივერსალი" ჩააბარეს.

თუ თქვენ ტყვიავის ზონის კოლმეურნეობებში მოგიწევთ ყოფნა და დაინტერესდებით ტრაქტორისტების შრომით, აქაური კოლმეურნეობები რაღაც განსაკუთრებული თავმოყვარეობით გეტყვიან:

— ჯაშაანთ არჩილა არ გაგიგონიათ? ძაან, ძაან ბიჭია, ხვნაში ტოლს არავის დაუდებს და თესვაში. მადლიანი ხელი აქვს, მაგ გამჩენდალოცვილს... ამ მადლიანი ხელით მან ერთ კვირაში 90 ჰექტარი ფართობი დათესა (56-ის ნაცვლად). მისი წყალობით რამდენიმე დღით ადრე დამთავრდა თესვა დანარჩენ 160 ჰექტარ ფართობზე...

ბარაქიან თესლს აბნევს გიშრისფერ ხნულებში არჩილ ჯაშაშვილი. ის დარწმუნებულია, რომ ჯეჯილი ზღვად იქცევა და უხვად დააპურებს მინდვრის ალალ მშრომელებს, მათ ვისაც სამშობლოსთვისაც მოაქვთ სარგებლობა და თავის თავისთვისაც, ოჯახისთვისაც...

მტს-ები მაგნეტური ძალით იზიდავს მექანიზატორთა კადრებს. პატრიოტი ადამიანები საქმით ეხმაურებიან პარტიის მოწოდებას და მასობრივად უბრუნდებიან მას.

ამ პატრიოტთა შორის არჩილ ჯაშაშვილთან ერთად შეიძლებოდა შინდისელ ბეშკენაშვილის, მეჯვრისხეველ ხომასურიძის და სხვათა დასახელება. ისინი თავდადებული შრომით ამართლებენ იმ დიდ როლს, რაც პარტიამ დააკისრა საკოლმეურნეო ინდუსტრიის ამ ოსტატებს...

***

აგრონომმა თედო ალავერდაშვილმა გორის რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ სოფელში" გამოაქვეყნა მოკლე, მაგრამ გულშიჩამწვდომი წერილი. ალავერდაშვილი რაიონის აგრონომთა შორის პირველი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და მტკიცედ გადაწყვიტა სამუშაოდ წავიდეს სოფელში, იქ, სადაც წყდება მოსავლის ბედი. და აი თავის წერილში ის წერს იმ აღფრთოვანებაზე, რასაც კანონიერად იწვევს სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტის გულში, დადგენილებანი, რითაც მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების მთელ ისტორიაში.

მე კარგად ვიცნობ ამ მტკიცე ნებისყოფის ადამიანს, თადარიგის ოფიცერს, რომელიც ყოველთვის სიძნელეების პირისპირ დგომასაა მიჩვეული. ეს მისი სტიქიაა. არ უნდა თქმა, რომ სამიწათმოქმედო ორგანოებში მუშაობით მას ბევრი სარგებლობა აქვს მოტანილი დღემდე და კიდევ შეეძლო მოეტანა, მაგრამ აგრონომისათვის ეს მაინც ღრმა ზურგია, სადაც უშუალოდ ვერ აღწევს „ფრონტის" პულსაცია. თ. ალავერდაშვილი ამ „ფრონტის" მოწინავე ხაზზე მიილტვის— მას უნდა თავისი ნიჭი, ცოდნა და ენერგია საკოლმეურნეო სოფლის ვრცელ ასპარეზზე გაშალოს, ყოველდღიურად იტრიალოს ტრაქტორისტებს, კოლმეურნეებს შორის. ის არ დაბადებულა ქაღალდების, კანცელარიის კაცად. ასეთ ადამიანებს ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი, მტს-ები, სტუმართმოყვარულად დახვდებიან, გულმხურვალედ მიიღებენ...

***

ანასტასია იონათამიშვილმა 1937 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მას შემდეგ მან კარგი სამეურნეო პრაქტიკული წრთობა გაიარა. უმუშავია სოფლადაც, ქალაქადაც, იცის თავისი საქმის ყადრი, ახლა „რაიაზრეშუმში" აგრონომად.

— მუშაობა ამ დარგში უინტერესო როდია, მაგრამ, როცა პირდაპირ დანიშნულებისამებრ საქმიანობ ეს მაინც სხვაა...

იგი მემინდვრეობის აგრონომია. ახლა მხოლოდ ამაზე ფიქრსღა შეუპყრია.

თავისი გულისნადები აგრონომმა ქალმა პატრიოტულ განცხადებაში გამოთქვა, რომლითაც რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს მიმართა.

იონათამიშვილს სჯერა, რომ განცხადებას ყურს დაუგდებენ და საგზურს მისცემენ სოფლისაკენ მტს-ში.

ჯან-ღონით სავსე, ენერგიულ აგრონომ ქალს სწყურია სოფლის აგრონომის მოუსვენარ და დაუდგრომელ ცხოვრებას ეზიაროს, მინდვრის მძაფრი სურნელით დაითროს, შრომაში ღია ცისქვეშ შეუმჩნევლად შემოათენდეს, მეცნიერების მონაპოვრები ყველა მხვნელ-მთესველის საკუთრება გახადოს და სამშობლოს, ხალხს უპატაკოს თავისი მცირე მაგრამ ხალასი წვლილის შესახებ.

აგრონომის, ტრაქტორისტის, მექანიზატორის როლი, არასოდეს არ ყოფილა მეორეხარისხოვანი, მაგრამ იგი ამჟამად ნამდვილი დიდების შარავანდედითაა მოსილი. ისინი არიან დღევანდელობის თვალსაჩინო გმირები, რომელთაც ისტორიული ამოცანის გადაჭრა ეკისრებათ.

ეჭვი არ არის, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში ისინი სათავეში ჩაუდგებიან სოფლის მეურნეობის მუშაკთა ლაშქრობას ბარაქიანი მოსავლისათვის და ძალ-ღონეს არ დაზოგავენ ჩვენს ქვეყანაში საკვები პროდუქტების სიუხვისათვის, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულით ყოველმხრივი მომარაგებისათვის.



„უდიდეს" ინტერესს იჩენენ მშრომელები ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკური სტამბისადმი, რომელიც ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა 1903 წელს.

ავლაბრის რესტავრირებული სტამბის ხშირი სტუმრები არიან ჩვენი დიდი სამშობლოს მეგობრებიც სახალხო დემოკრატიული ქვეყნებიდან.

ფოტოზე — ჩინელი მშრომელების დელეგაცია ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

ალეკო შენგელია

## უბრალო ღამე

1

ხაღამო. სოფელში ყველგან
გიზგიზებს სავახშმო ცეცხლი.
მზე ჩადის, ზოლებად ზღვაზე
დაღვრილა ოქრო და ვერცხლი.
მზე ჩადის, და უკვე მკრთალი
მნათობი გამოჩნდა მთებში.
მთვარეა? ქორწილზე იქნებ
ესროლეს ცას ვერცხლის თეფში.
ღამდება. მინდვრად კი ისევ
მანქანა მიარღვევს ყამირს,
თითქოს დღის ნათელი ადგას
მინდვრებში ანთებულ ღამეს.

ჩამოწვა რძისფერი ნისლი,
დავარდა პირველი ნამი.
მანქანა ბრდღვიალა თვალებს
არ ხუჭავს, არ ხუჭავს წამით.
ბალახი შრიალებს ირგვლივ,
ნიავის ალერსში დნება,
ხან აიქოჩრება მორცხვად,
ხან დაიხრება და წვება.
მანქანა გუგუნებს ისევ,
და ველებს არა აქვთ ძილი.
სოფლად კი მძინარე სახლებს
ესტუმრნენ სიზმრები ტკბილი...

მანქანა გუგუნებს ისევ,
ბრდღვიალებს ელექტროთვალი,
არ ძინავს მინდვრებს და ყანებს
და ფხიზლობს საჭესთან ქალი.
არ ძინავს მშობლიურ მიწას,
ფუსფუსებს ათასი ფესვი,
ლუღუნებს მიწაში თესლი,
სიცოცხლის სიმღერა გესმის.

2

— ორასი? ორასზე მეტი...
ერთიდან იწყება ბევრი...
პროცენტი ემატოს პროცენტს,—
ციფრებში დოვლათი მღერის.
მაშ, გასწი, მანქანავ ჩემო,
დალახე საბრძოლო ველი,
ამ სივრცეს, მინდვრებს და ყანებს
დაავლე ფოლადის ხელი.
გასწი, რომ აღარსად, დედას
არ ეცრემლებოდეს ბავშვი,
რომ გულის იმედს და ნუგეშს
შვილს ტკბილად ეძინოს სახლში.
გასწი რომ სამშობლოს მივცეთ
მშვიდობის ულევი ხვავი,
რომ მზე დაჰხაროდეს მუდამ,
მებრძოლის საფლავზე ყვავილს...

მღეროდა ქართველი ქალი,
მღეროდა მესაჭე ქალი,
ჰექტარი კი ცვლიდა ჰექტარს,
კვალს კვლავ მიჰყვებოდა კვალი.
დგებოდნენ ამაყი მთები,
იბერტყდნენ ნისლიან ქუდებს,
არწივი გაქრილი ცაში
თავს დასტრიალებდა ბუდეს.
დგებოდა სოფელი მკვირცხლად,
საბრძოლო ბანაკის მსგავსი,
მზე იხედებოდა სახლში
და თვალებს იფშვნეტდა ბავშვი.
მღეროდა მესაჭე ქალი,
ის დილას შეძღერდა ახლა,
გახედა დარჩენილ ჰექტარს
და კვალი გაავლო ალყად.
დღე შემოდიოდა ქვეყნად,
დაჩნდა დალახული ველი,
დილა თენდებოდა მშვიდად,
ხარობდა სამშობლო ვრცელი...

ეს იყო უბრალო ღამე,
ასეთი რამდენი არის!
იკითხავთ:—მესაჭის გვარი?
— უბრალო საბჭოთა ქალი!
ეს მოხდა... რუკაზე არ ჩანს
ამ მცირე კუნჭულის კვალი,
ეს, დიდი სამშობლოს ერთი
უბრალო სოფელი არის.
... და იდგა, ხარობდა ქალი,
სიცოცხლეს შემღერდა ტკბილად,
მზე შემოდიოდა ქვეყნად,
ბრწყინავდა მშვიდობის დილა.



ოთარ შალამბერიძე

## ირმები სამგორში

შრომის სიუხვით განაკვირები
შეჯგუფებულან მთაზე ირმები;
არ იხსენებენ სამგორის წარსულს,
ისე ამბობენ რაღაცა ზღაპრულს:
ვართო ზღვის ფსკერზე ნასეირნები.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ვარშავაში საბჭოთა კავშირის ძალებითა და სახსრებით შენდება ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლე. ამჟამად მთავრდება მე-31 სართულის ლითონის კონსტრუქციის მონტაჟი და მიმდინარეობს შენობის ცენტრალური ნაწილის მოპირკეთება.

სურათზე: ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობის ხედი.



1945 წლის 4 აპრილს საბჭოთა არმიამ დაასრულა უნგრეთის გათავისუფლება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ამ დღიდან უნგრელი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეპოქა. უნგრეთის რუკაზე გამოჩნდა ახალი დასახლებული პუნქტები თავისი ფაბრიკებითა და ქარხნებით. შენდება უნგრეთის პირველი სოციალისტური ქალაქი სტალინვაროში—სტალინის ქალაქი. დღითი დღე მშვენიერდება და უფრო კეთილმოწყობილი ხდება უნგრეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი—ბუდაპეშტი.

სურათზე: თავისუფლების ხიდი ბუდაპეშტში.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა უდიდესი პათოსით ეწევა მშვიდობიან მშენებლობას. გაცხოველებით მიმდინარეობს ფაბრიკა-ქარხნების, საცხოვრებელი შენობების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების აღდგენა. წესრიგდება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა. დაიწყო წყალსაცავების, კაშხალებისა და სხვა ირიგაციულ ნაგებობათა აღდგენა. უკვე მზადაა ფხენიანის აღდგენისა და რეკონსტრუქციის გეგმა—სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი უფრო ლამაზი იქნება, ვიდრე იყო.

სურათზე: აღდგენითი სამუშაოები ერთ-ერთ საირიგაციო ნაგებობაზე.





ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი

მხატვარი შ. ცხადაძე

# დარე

მოთხრობა

სოფლის გზაზე ახოვანი, გულმკერდგაღეღილი ჭაბუკი მხრების ქანაობით მოირხეოდა და გზისპირებზე ჩარიგებულ არახილის ახლად შემწიფებულ ხეებს ათვალიერებდა. ეტყობოდა, მკათათვის გვალვით დასიცხულს ყელი გაშრობოდა. ერთგან შემაღლებულ ღობის ყორეზე ცალი ფეხი შედგა, ტოტი მოიწია, წვრილი ნაყოფი მუჭით ჩამოსხიპა და ხილის ჭამით პირდაპირ კოლმეურნეობის კანტორისაკენ წავიდა. ჭაბუკის დანახვაზე კანტორის აივანზე გადმომდგარმა ქალიშვილმა უნებურად წამოიძახა: „მოდის, მოდისო“, საჩქაროდ კარისკენ შებრუნდა, მაგრამ ფეხი აებლანდა, წაბარგანავდა.

ადრეული თამამი სატაცური ხომ გინახავთ, წვიმიანი ამინდი რომ გააბრიყვებს, დაიძახებს და ზევით ზევით წავა, ნიავის ყოველ შემოქროლებაზე რომ შექანდება და შეტორტმანდება, ხან აქეთ დაჰკრავს თავს, ხან იქით; მართლაც იმას ჰგავდა ამ წუთში ეს კარგად შეთქვირებული გოგონა... ხან ისევ გზაზე მომავალ ჭაბუკს გახედავდა და ხან კანტორის კარს, ყოყმანობდა, სავსე გულმკერდზე და მოხდენილ წელზე ხელის უნებური მოძრაობით ისწორებდა ჩითის თხელ კაბას. ვერ გადაეწყვიტა, ოთახში შესულიყო თუ აივანზე დარჩენილიყო. თაფლისფერ, ჯერ ისევ ბავშვურ დიდრონ თვალებში ხან სასოწარკვეთილება გაუელვებდა, ხან ცნობისმოყვარეობა, ხან შეუცნობი შიში, ხანაც სიხარული.

კანტორის ეზოში სიცხის ალმური ტრიალებდა, ახლომახლო არავინ ჩანდა, გარდა რამდენიმე ხანშესული დედაკაცისა, რომლებიც საწყობის წინ სუფთად მოკალოებულ ადგილზე სათესლე ხორბალს ტრიერში ატარებდნენ. მათ ქალიშვილის შეშფოთებულ წამოძახილს ყურიც არ ათხოვეს, ტრიერის გამაყრუებელ ხმაურში იქნებ ვერც გაიგონეს.

„გაუგია... მოხვედრია და გაჯავრებული მოდის“, — გაიფიქრა გოგონამ და კანტორაში შევარდა.

— რა დაგემართა, დარე, რამ დაგაწიოკა? — შეეკითხა მაგიდასთან ჩამომჯდარი კოლმეურნეობის მოანგარიშე, ისე რომ მისთვის არც შეუხედავს. მარჯვენა ხელის ოთხი თითი საანგარიშოს რგოლებზე უძრავად ედო, მარცხენა ხელში კალმისტარი ეჭირა და გაშლილ უწყისს ჩასცქეროდა.

დარემ არაფერი უპასუხა, ჩქარი ნაბიჯით კედლის გაზეთის ჩარჩოს მიუახლოვდა და თითქოს პირველად ათვალიერებსო, დიდხანს უმზირა, მერე მოანგარიშის მაგიდის წინ გრძელ სკამზე დაეშვა.

— ის... კახელი კომბაინერი მოდის!..

მოანგარიშემ ახლა კი ასწია თავი, ქალიშვილს დაფიქრებით დააკვირდა, მერე კედლის გაზეთს გახედა.

—რამ შეგაშინა გოგო, მოდის და, მოვიდეს... რახან იკისრე, არც უნდა გეშინოდეს!

— შიში რა სახსენებელია, მაგრამ... ეს ისეთია, ისეთი, რომ... აი, ნახავ! და აფორიაქებულ ქალიშვილს უცებ, თავისდაუნებურად თვალწინ დაუდგა ახოვანი კომბაინერის განზე გასული მხარბეჭი, მზეზე დამწვარი ძარღვიანი კისერი, ბუჩქივით თმა, კეხიანი დიდი ცხვირი, ყანწებივით ბოლოებში ალმა აგრეხილი შავი წარბები და თითქმის ასეთივე, ოღონდ ოდნავ მოზრდილი, დაბლა დაშვებული ულვაშები... და შუქიანი თვალები... შუქიანი თვალები, რომლებიც მას უღიმოდნენ... (ახლა? ახლაც გაუღიმებს?).

მართლაც შიში რა სახსენებელია... შიში კი არა, ეს უფრო დიდი და მისთვის ჯერ განუცდელი, შიშზე ძლიერი, რაღაც მომქანცველი და თავბრუდამხვევი გრძნობა იყო, რომელიც კომბაინერის ყოველ დანახვაზე ანაზდეულ ჟრუანტელს ჰგვრიდა და აფიქრებდა.

„რა ვქნა, რა მომდის ამ ბიჭს რომ დავინახავ, დამბლა მემართება თუ რა ჯანდაბაა, მუხლები მიდუნდება...“

არა, ეს შიში არ იყო; შიშს მის გულთან რა ხელი ჰქონდა. ის ხომ საოცრად გამბედავი, მოურიდებელი და პირშიმთქმელი გოგონა იყო. თუ გასაკილავ რამეს დაინახავდა, გული შეუთამაშდებოდა, აუჩქროლდებოდა, მაშინვე აყაყანდებოდა და განგაშს ასტეხდა; ამიტომ ამბობდნენ კვიმატი მეზობლები, ამ გოგოს ენა ყანყრატოზე კი არა თავის ავ გულზე აბიაო.

— აბა შეხედე, ქალო, ასე როგორ იმსგავსა, თავისმა უქმურმა დიდედამ... რამსიმაღლეა, ჭანჭურის კიბეს არა ჰგავს! ტანი, მიხვრა-მოხვრა, ხმა, დიდი გული სულ იმისაგან მოსდევს... ესეც კაი ხექალა გვეზრდება!

— მერე ან იმან რა მოიგო, ან ეგ რას წაიღებს ამ წუთისოფლიდან? დროზე კაცის გული არ გაიკარა და კინაღამ შინაბერად დარჩა... ეგეც იმის კვალზე მიდის... ვერა ხედავ, გასათხოვარი ქალია და მთხოვნელი არ გამოსჩენია!

დიდედასთან მსგავსება არც სხვებს დარჩენიათ შეუნიშნავი და მალე კვიმატი დედაკაცების ენამ თავისი ჰქნა. დარეს ხექალა დაერქვა, ხოლო დიდედას შვილიშვილისთვის მისი მეტი სახელის მიკუთვნების შემდეგ ჩუმჩუმად დიდ ხექალას ეძახდნენ...

ან ერთს ან მეორეს ამ მეტი სახელის პირში თქმას აბა ვინ გაუბედავდა, მაგრამ ორივემ კარგად იცოდა... ორივემ კარგად იცოდა, მაგრამ მაინცდამაინც არც ერთი არ სწუხდა. დიდხექალას დავიწყებული ჰქონდა პირველი წყენა, დროს თავისი გაეტანა და მეტსახელში ცუდს აღარაფერს ხედავდა. პატარა დარეს კი ეს სახელი მოსწონდა კიდეც. მოსწონდა იმიტომ, რომ ვაჟკაცური ხასიათის, დინჯი და ალალი გულის საყვარელი დიდედა ბავშვობიდანვე მისი ცხოვრების მაგალითად ქცეულიყო, მას ჰბაძავდა და მის მართალ კვალში ჩადგომას ნატრობდა და მისდევდა კიდეც, თუ კბილის დასადგმელს იშოვიდა, არავის ერიდებოდა, ყველას კენწლავდა, დიდსაც და პატარასაც.

ზოგჯერ მისი მართალი ენის შოლტი თავმჯდომარესაც კი მოხვდებოდა. ამაყი ვაჟკაცი იმწვიტინებდა, განაწყენებული რჩებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. მისი გულის მაამებლები კი ასე არიგებდნენ დარეს:

— რამ აგაგაკანა, გოგო?.. განა რასაც დაინახავ ყველაფერი უნდა თქვა, ზოგი რამ არც უნდა დაინახო!

ამ „ზოგი რამის“ დაუნახაობა და დაფარვა დარეს არც უნდოდა და არც შეეძლო.

რაც სოფლის საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და კოლმეურნეობის ხამკითხველოში დაიწყო მუშაობა, მის მართალ გულსა და ენას ფხაც მოემატა და გავლენაც. მალე კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორადაც აირჩიეს. კედლის გაზეთს ახლა მხოლოდ რედკოლეგიის წევრები ან რაიონიდან კოლმეურნეობის მუშაობის შესამოწმებლად ჩამოსული ამხანაგები კი არ კითხულობდნენ... ლამაზად მოხატული ჩარჩოს წინ ხშირად დაინახავდით კოლმეურნეთა ჯგუფს, მოხუცებს, ვაჟკაცებს, ქალებს, ბავშვებს.

ერთხელ, კედლის გაზეთში მემინდვრეობის პირველი რგოლის მუშაობა გაამათრახეს იმის გამო, რომ ახლად განიავებული ხორბალი მთელი ღამით ცისქვეშ უპატრონოდ დაეტოვებინათ. იმ ღამით დიდი წვიმა მოსულიყო და ნიაღვარს ხორბალი გაეტაცნა. წერილის გამოქვეყნების შემდეგ მთელი რგოლი აუჯანყდა გაზეთის რედაქტორს, ცილი დაგვწამაო. დარემ მოწმეც კი ვერ იშოვა, რომ მომხდარი ფაქტის სიმართლე დაემტკიცებინა. როცა გამგეობის სხდომაზე კედლის გაზეთის რედაქციას დაუსაბუთებელი წერილის გამოქვეყნებისათვის შენიშვნა მისცეს, დარემ თითზე იკბინა, მიხვდა, რომ ახლაც „ზოგი რამის“ დაუნახაობისკენ მოუწოდებდნენ. გაჩუმდა და დაიხსომა. ამის შემდეგ ერთხანს ნაწყენი და დაფიქრებული დადიოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კოლმეურნეობის მოანგარიშემ დარეს ცისფერ ქაღალდში კოხტად შეხვეული რაღაც მოუტანა და ღიმილით ხელში შეაჩეჩა. დარე არ იღებდა, ახალგაზრდა კაცისაგან საჩუქრის მიღება რას მიქვიაო.

— არა გოგო, — უთხრა ხმადაბლა გიგამ, — ეს ფოტოაპარატი „კომსომოლეცია“, რედკოლეგიისათვის ვიყიდე... შენ ოღონდ გადაღება ისწავლე, გამოგადგება!

მაინც საჩუქარი გამოდიოდა და მაინც. ფოტოაპარატს დარეს მეტი აბა ვინ მოჰკიდებდა ხელს ამ გახურებულ მკათათვეში. ცთუნებაც ძალზე დიდი იყო და გიგაც ყოველმხრივ კარგ ახალგაზრდად გაძოიყურებოდა ამ ბოლო დროს, თუმცა თანშეზრდილი ბიჭის ბავშვობის წლებს რომ გაიხსენებდა, მაშინვე უსიამოვნო გრძნობა შეუკუმშავდა გულს... თვალწინ ხან ლოდით თავგაჩეჩქვილი მეზობლის კატა დაუდგებოდა, ხან შვილის ცუდი საქციელით გამწარებული დედა...

მაგრამ ეს იყო წინათ... ფრონტზე ყოფნას სრულიად შეეცვალა გიგას საქციელი, თითქოს ჭაბუკური გიჟმაჟობის და უხასიათობის სახადი იმ ცერა თითისთვის გაეყოლებინა, რომელიც მისთვის სამამულო ომში მტრის ტყვიას წაეწყვიტა.

სხვებთან ენა კვიმატი, ხუმარა და მხიარული გიგა დარესთან დაბრძენებული ვაჟკაცივით იქცეოდა, დინჯად ლაპარაკობდა და ქალიშვილი შეუცდომელი გუმანით გრძნობდა მისი სევდიანი თვალების გაშტერების მიზეზს, ებრალებოდა და გულწრფელად ამხანაგობდა მასთან. მხოლოდ ერთხელ დააპირა გიგამ რაღაცის თქმა, — იმ „რაღაცის“, რაც დარესათვის ვერავის გაებედნა. მაგრამ დარემ იგრძნო თუ არა, დაინახა თუ არა გიგას საოცრად გამოცვლილი სახე, დამფრთხალი თვალები, აკანკალებული ტუჩები, უმალვე საჩვენებელი თითი პირთან მიიტანა და უქმურად შეუბღვირა. მერე მხოლოდ იმისთვის, რომ უხერხულობა გაეფანტა, იგივე თითი ღიმილით დაუქნია.

— ციც!.. აბა, ჩუმად!

გიგა გაშრა, გაოცდა, მხრები ჩამოჰყარა და თავი ჩაღუნა.

იქნებ არაფრის თქმასაც არ აპირებდა, იქნებ სულაც ჩვეულებრივი რამ უნდა ეთქვა და დარეს ისე მოეჩვენა, თითქოს...

თუ ასეა, მაშ რად გაჩუმდა, რატომ არაფერი უთხრა, რატომ ერთხელ მაინც არ შეეკითხა, რას უკრძალავდა ქალიშვილი?..

„კომსომოლეცის“ ხმარება დარემ მალე შეისწავლა და გამოადგა კიდეც. ყველა-

სათვის მოულოდნელად კედლის გაზეთში გაჩნდა ორი ფოტო სურათი. ერთში გარკვევით მოჩანდა სასოფლო გზის ჩანგრეული ბოგირი, სწორედ კოლმეურნეობის გამგეობის შენობის ცხვირწინ, მეორეში კი უზარმაზარი გადაჩეხილი კაკლის ხე... რედაქცია სთხოვდა კოლმეურნეებს გამოერკვიათ, ვინ მოჭრა ან სად გაჰქრა ანაზდეულად ეს უზარმაზარი ხე. ორივე ფოტოკორესპონდენციას ჰქონდა საერთო სათაური „ზოგი რამ“.

ამ წერილმა კოლმეურნეთა შორის გამამხნევებელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

დარე დაფიქრებული იჯდა.

— ვინც უნდა იყოს, მოდის და მოვიდეს! საჭიდაოდ ხომ არ მოდის?.. რა ვუთხრა იმ... იმ დაწყევლილებს, ჩემთვის ცერა თითი რომ არ წაეწყვიტათ, არც ჭიდაობაში დავუვარდებოდი! — წამოიძახა გიგამ.

სანამ სამამულო ომი დაიწყებოდა გიგა მართლა ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავედ ითვლებოდა ამ სოფელში. ხანდახან ახლაც კი მიუწევდა გული საჭიდაოდ და ერთი ორჯერ იჭიდავა კიდეც... ახლად წამოზრდილი მოჭიდავეები უთმობდნენ, სახელს არ უტეხდნენ, მაგრამ საკუთარ სახელსაც არა ნაკლებ უფრთხილდებოდნენ, ამიტომ ჭიდაობა უფრო ხშირად გაშველებით მთავრდებოდა.

უცებ კანტორის კიბე საოცრად აჭრიალდა, ისე, თითქოს რამდენიმე კაცი ერთად, ფეხების ბრახუნით ამოდისო. მოანგარიშემ ფანჯრიდან გადაიხედა.

— ჰოო... ეს კი მართლა აგვიკლებს! სურათში ასეთი ვირგლა არა ჩანს, გამოცხადებული ჩვენებიანთ დიდფეხებაა!

არც ასე გასაწირად ემეტებოდა დარეს კახელი კომბაინერი. სად უშნოდ გამოჩხრიკნილი, კაკლის მორგვივით ტოტყი და ტლანქი დიდფეხება და სად ახოვანი წითელწყაროელი ჭაბუკი!

არა, ეს რა შხამიანად მოუვიდა გიგას. რატომ მერე, რა დაუშავა?.. რაც გასაკილი ჰქონდა, გაიკილა და მორჩა... აქ რა მოსატანია ვაჟკაცის გარეგნობა, ისიც უკულმართად. ფანჯრის მინაში დაბრეცილად ხომ არ მოეჩვენა?...

— სურათში ცუდად გამოვიდა... — წამოსცდა თუ თავს იმართლებსო, ისე თქვა დარემ.

გიგამ იჭვნეულად შეხედა დარეს და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცებ ისეთი ჯახუნი გაისმა, თითქოს კარს გარედან ფეხი ჰკრეს და ისე შემოაღესო.

— ფრთხილად, ამხანაგო, ფრთხილად! — მკაცრი კილოთი შეაგება შემოსულს გიგამ და ფეხზე წამოდგა.

— ბოდიში... ეს ოხერი, კარის გაღებასაც გადავეჩვიე და... გამარჯობათ! შეიძლება?..

— დაბრძანდით!

მაგრამ კომბაინერი არ დამჯდარა. დაბღვერილი თვალების ერთი მოვლებით შეათვალიერა ოთახი და კედლის გაზეთისკენ განიერი ბეჭების რხევით გასწია.

კომბაინერი ჯერ კედლის გაზეთში მოთავსებულ სურათს დააშტერდა, დიდხანს უცქირა, მერე წერილი ჩაიკითხა, თვალი მოაშორა და ისევ სურათს ახედა. ეტყობოდა, ერთიც უგმირავდა გულს, მეორეც.

...„შეხედეთ და დასტკბით!.. იმ დროს როცა გარშემო სხვა კომბაინები გუგუნებენ და მოსავლის აღებას ეშურებიან, ეს კომბაინი ისვენებს... ისვენებს კომბაინერი მიტო თანდაშვილიც. ხედავთ, როგორ დაუღია პირი, როგორ გაუშლია ფეხები!.. განა ამისთვის მოვიდა იგი თავისი კომბაინით წითელწყაროდან?.. განა ამისთვის“... და სხვა და სხვა...

მიტო თანდაშვილი უკვე მეორედ კითხულობდა წერილს, უკვე მესხედ ათვალიერებდა სურათს. თანდათან, თავისდაშეუმჩნევლად უტყდებოდა თავს, რომ ამ პატარა გაზეთში მართლაც „მაგრა იყო შეხურებული“, სწორედ ისე, როგორც გუშინ საღამოს სიცილ-ხარხარით უთხრეს ბიჭებმა. უნებური ღიმილი იპყრობდა მის სახეს. ცდილობდა ამ დაწყევლილი ღიმილის მოშორებას, უკან მობრუნებას ვერ ბედავდა, ეშინოდა სიცილი არ ასტეხოდა და თავი არ გაეცა. როგორც იქნა თავს სძლია, მოანგარიშის მაგიდისკენ მიბრუნდა და პირქუშად იკითხა:

— ვინ გამწერა?

დარე გაფითრებული იჯდა და გაჩუმებული გიგას გასცქეროდა.

— არა, მაინც ვინ გამამასხრა, ეს სურათი ვინ გადამიღო?! — ხმას აუწია კომბაინერმა.

— ამხანაგო, ფაქტი ფაქტია. რაც შეეხება წერილის ავტორს, ეს... ეს სულ-ერთია...

დაბალი მტკიცე ხმით უპასუხა დარემ და კომბაინერს თვალი გაუსწორა, თანდაშვილი მასთან ახლო მისულიყო, ისე ახლო, რომ ქალიშვილს აშკარად ესმოდა აღელვებული ჭაბუკის მძლავრი შეკავებული ქშენა.

ერთხანს თვალგაშტერებულნი უმზერდნენ ერთმანეთს, მერე თვალი თვალს მოსწყვიტეს. დარემ ისევ გიგას გახედა, კომბაინერი ახლა თვალმოჭუტული ათვალიერებდა, მუშტრის თვალით სინჯავდა შემკრთალ ქალიშვილს..

„რა გოგოა ეს დაწყევლილი, — ფიქრობდა თანდაშვილი, — ამის სანახავად კი ღირდა აქ მოსვლა“.

— ისიც საიდუმლო ხომ არ არის, ვინ რედაქტორობს ამ გა...ა...ზეთს? — სიტყვის გაჭიანურებით, დაცინვით იკითხა კომბაინერმა.

დარემ ფეხი მოინაცვლა, გულმკერდზე, შიშველ ხორბლისფერ მკლავებზე მორცხვად დაიხედა და ერთხელ კიდევ შეხედა აბრიალებულ თვალებში თანდაშვილს.

— რედაქტორი მე ვარ...

კომბაინერმა უკან დაიხია, თავის ერთი აქნევით უკან გადაიყარა თვალებზე ჩამოშლილი ურჩი თმები და მარჯვენა ხელი შუბლთან დაცინვით მიიტანა.

— შენა...ა?..

— დი...ი...ახ!

— ვაჰ! — წამოსცდა უნებურად კომბაინერს, — ასეთი პატარა და ასეთი... ასეთი... მერე და, არ უნდა იცოდე, გაზეთში ვინ უნდა გასწერო?.. საწვავი დროზე არ მოაქვთ, რა ქნას მიტო თანდაშვილმა, ხელით ხომ არ აითრევს კომბაინსა, ჰა? მომეპარეთ, გადამიღეთ... გეკითხათ მაინც...

— ისე გულიანად გეძინა, გაღვიძება ვერ გაგიბედეთ, — ღიმილით წამოიძახა დარემ და მერე მშვიდი ხმით დაუმატა, — საწვავი არ მოიტანეს, კარგი არ მოიტანეს, რას გაჩუმდი, თავქვეშ ხელები რად ამოიწყე, ხვრინვა რად ამოუშვი?.. სად გაგონილა ასე?..

— აი, თურმე რა უნდა ექნა საწყალ მიტო თანდაშვილსა, — თავის აქეთ-იქით გადაქნევით დაიგრუხუნა კომბაინერმა და სიცილნარევი ხველება აუტყდა, არ იცის საწყალმა ბიჭმა, როგორ მოიქცეს! თურმე ზარები უნდა შემოეკრა, ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა!

— დიახ...

— ზარიც შემოვკარი და კაციც ვაფრინე ემტეესში. მერე? ნახევარი დღის საწვავი გამომიგზავნეს.:. აი, ახლაც გაჩერებულია მანქანა, მიშველეთ. გაგიგონია?.. მე თვითონ წამოვედი რომ ერთი მაგრა შევახურო ის... იქნებ გგონია, ამ წერილისთვის მოვედი მინდვრიდან? არც ასეა მიტო თანდაშვილის საქმე, როგორც ზოგიერთსა ჰგონია, არც არავის ჩამოვრჩენილვარ და არც ჩამოვრჩები!

თანდაშვილმა ლაპარაკი შეწყვიტა. მან უცებ თვალი მოჰკრა ფოტოაპარატს, რომელიც მოანგარიშის საწერი მაგიდის უკან, კედელზე თასმით ეკიდა, მერე მოანგარიშეს დააკვირდა.

—ჰო...! ახლა კი გასაგებია, გასაგები! — უცებ თითქოს გონს მოვიდაო; წამოიძახა მან. მოანგარიშე უხერხულად შეიშმუშნა. წამოიწია, ისევ დაჯდა და ხმადაბლა ღიმილით თქვა:

— გაუგებარი აქ არაფერია, ჩემო ძმაო. თუ კარგად არ იმუშავე, ხომ იცი, კიდევაც შეგანჯღრევენ!

— კარგი, კარგი მაშ აი ეს ულვაში შერცხვეს თუ... — სულშეგუბებით წარმოთქვა კომბაინერმა, მარჯვენა ხელი ულვაშისკენ წაიღო და სიტყვის დაუმთავრებლად კარისკენ გაემართა.

— არა, არა, ამხანაგო, ეგ აპარატი, ის სურათი.., — ამაოდ ცდილობდა დარე სიტყვა მიეწვდინა აღშფოთებულ კომბაინერისათვის, მაგრამ თანდაშვილი ქალიშვილის წამოძახილს ყურადღებას არ აქცევდა.

თანდაშვილმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ახითხითებულ გოგონას, ერთხელ კიდევ შეუბღვირა მოანგარიშეს და მის ზურგს უკან ჩამოკიდებულ ფოტოაპარატს, კარი გაიჯახუნა და ფეხების ბრახუნით დაეშვა კიბეზე.

კარგა ხანს ორივე გაჩუმებული იჯდა. მოანგარიშე თავჩაღუნული ჩასცქეროდა უწყისს, მარჯვენა ხელის ოთხი თითი ისევ საანგარიშოზე ედო, ხანდახან თუ გაპკრავდა რგოლებს. მარცხენაში მოკიდებული პაპიროსიც უძრავად ეჭირა. კვამლი ცისფერი სვეტებით მიიმართებოდა ჭერისაკენ. ქალიშვილი ამ კვამლს მისჩერებოდა.

— შენ გაბრალებს, — ჩუმი ხმით თქვა დარემ.

მოანგარიშემ პაპიროსი პირთან მიიტანა, ღრმად ჩაისუნთქა, კვამლს უნებური ოხვრა ამოატანა. ცისფერი სვეტი შეირხა, დაიკლაკნა და ფანჯრიდან შემოჭრილ მზის სხივებში გაიფანტა.

— ჩემი ბრალია, რაღა მანდ ჩამოვკიდე აპარატი, — დაუმატა დარემ და ფეხზე წამოდგა, — წამოვეწევი და ვეტყვი, რომ...

დარე კარისაკენ წავიდა.

— მოგცლია... რაც უნდა უთხრა ეხლა მისთვის სულ ერთია....

— არ არის სულ ერთი...

— დარე, დარე!..

მაგრამ დარეს აღარ უნდოდა გაეგონა გიგას ძახილი. ის უკვე კიბეზე ჩადიოდა გუმანით გრძნობდა, რომ სულ ერთი არ იყო. სოფლის გზაზე გამოვიდა. კომბაინერი არსად ჩანდა.

*
* *

კაცმა რომ მართალი თქვას, დარეს სულაც არ უნდოდა შორეული რაიონიდან მათი სოფლის დასახმარებლად მოსული კომბაინერისათვის ეწყენინებინა. პირიქით, მათს ნაკვეთებში წითელწყაროდან გამოგზავნილი კომბაინების გამოჩენის პირველ დღესვე თვალში მოუვიდა ეს გრუზა ჭაბუკი. სხვა კომბაინერები არშიყის თვალით უთვალთვალებდნენ მათთან მომუშავე ქალიშვილებს, ხმაურობდნენ, ლაზღანდარობდნენ, ის კი ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი სიდინჯით და სიჩუმით. ერთხელაც არ შეუხედავს დარესთვის, ერთხელაც. ასე ეგონა...

ამ რამდენიმე დღის წინათ კოლმეურნეობის თავმჯდომარე წაეჩხუბა დარეს, რაიონის გაზეთს შენი კედლის გაზეთიდან წერილები გადაუბეჭდავს, რაიკომის მდივანმაც მისაყვედურაო... ნუთუ ჩვენს მუშაობაში კარგს ვერაფერს ხედავ, ახლა იმაზე დაწერეო, თან მიტო თანდაშვილის ბრიგადა დაუსახელა სამაგალითოდ.

დარემ მეორე დილითვე ბლოკნოტი და ფოტოაპარატი აიღო და მინდვრისაკენ გასწია, მაგრამ სახტად დარჩა, როდესაც თანდაშვილის კომბაინი გაჩერებული დახვდა. კომბაინთან არავინ ჩანდა.

„ესეც შენი მოწინავე კომბაინერი“—გაიფიქრა დარემ და გამობრუნება დააპირა, რომ ვაჟკაცის ხვრინვა შემოესმა. დარემ კომბაინს ახლა მეორე მხრიდან მოუარა. თანდაშვილს ხელები თავქვეშ შემოეწყო და კურდღელივით ნახევრად თვალგახელილს ეძინა. ალბათ როცა აქ წამოწვა, ჩრდილი იყო, ახლა კი მზეს გადაეწია და თანდაშვილს სახეზე მისდგომოდა. ოფლის ხვითქში შეცურებული, შეწუხებული კომბაინერი იშმუშნებოდა, უქმურ ძილს ებრძოდა და ქშინავდა.

„ნუთუ ეს მიტო თანდაშვილია, აღარც სახე აქვს მისი და არც საქციელი“. გაიფიქრა დარემ, მძინარეს ზიზღით დახედა, აპარატი მოიმარჯვა და გადაიღო.

„შევინახავ და“... (როდისმე ვაჩვენებ...)

იმ წუთში მეტი სურვილი არ დაბადებია.

სალამოხანს, ის-ის იყო ფარდებჩამოშვებულ, ჩაბნელებულ ბიბლიოთეკაში სუ-



რათი დაბეჭდა, რომ კარებზე დააკაკუნეს. დარემ კარი გაუღო და ოთახში გიგა შემოვიდა. გიგა ხშირი სტუმარი იყო მისი პატარა ლაბორატორიისა. ურჩევდა, ასწავლიდა და ერთთავად თვალებში შესცქეროდა გაუბედავი ღიმილით.

— ბიჭოს, — წამოიძახა გიგამ, როცა სურათს დახედა, — ნამდვილად საგაზეთოა... გაუფუშეკია ფეხები და...

— არა, ეს ისე ჩემთვის გადავიღე, — აუხსნა დარემ...

— შენ იცი, ისე კი ნამდვილად კარგი საკბილოა,— ღიმილით წაილაპარაკა გიგამ და ოთახიდან სტვენით გავიდა.

მარტოდ დარჩენილმა დარემ დიდხანს იფიქრა, როგორ მოქცეულიყო, მერე ერთხელ კიდევ დახედა კომბაინერის გამოლენჩებულ სახეს, უაზროდ გახელილ თვალებს და გულზე ისეთი ბოღმა და ჯავრი მოასკდა, რომ კინაღამ დაიჭექა.

„უტვინოსავით დაუჭყეტია თვალები... თუ ნაწილი გაუტყდა ან საწვავი შემოელია, მხარ-თეძოზე რაღას წამოწვა, ფეხით უნდა გასულიყო ბაზაში, ფეხით, და ზურგით გამოეტანა, მაშ!“.

ამ ფიქრით გაამართლა დარემ თავისი იდუმალი განზრახვა და თავის „საკბილოს“ თითით დაემუქრა.

* * *

დარე მანქანა-ტრაქტორთა სადგურისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ჩქარობდა, არ უნდოდა გაჯავრებულ კომბაინერს მინდვრებისკენ გაესწრო. სადგურის უზარმაზარ ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ღობის პირას მწიფე ნაყოფით და ხშირი ფოთლით დახუნძლულ კალოს ვაშლზე ვიღაც აფორთხებულიყო. ხეს რომ გაუსწორდა ერთი გვერდწითელა ვაშლი სწორედ მის წინ ბილიკზე დაეცა. მიიხედა და ფოთლებში გამოწვდილ მზეზე გარუჯულ ხელს მოჰკრა თვალი, რომელიც მაშინვე დაიმალა მსხმოიარე ტოტებში. დარემ ბილიკზე დაგორებულ ვაშლს ფეხი გაჯავრებით გაჰკრა და კიბეზე აირბინა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ვეებერთელა შენობაც დაცარიელებულიყო. მხოლოდ კანცელარიაში ისმოდა საანგარიშოს ჩხაკუნი. ქალიშვილმა იქაც შეიხედა. კომბაინერი არსად ჩანდა.

„იქნებ არც შემოუხვევია“—გაიფიქრა დარემ, ვაშლის ხეს გაბუტულივით გაუარა, ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა სადგურის ეზოდან და შარაგზას დაადგა. სოფლის ორღობეებს გასცდა, მინდვრის გზაზე გავიდა. ცხელოდა, სიცხის ბუღი ტრიალებდა, მინდვრის პირი ტბის ჭავლივით ცახცახებდა.

მინდვრის გზაზეც არავინ ჩანდა.

„გამასწრო... ალბათ მანქანა შეხვდა...“

ვაჟთან შეხვედრის იმედი რომ გადაწყვიტა, გამობრუნდა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა სოფლისაკენ. თანდათან მშვიდდებოდა. დამცხრალიყო ის წუთიერი მღელვარება, რომელმაც ამოდენა გზა გამოატარა. კიდევ კარგი, ასცდა და არ შეხვდა. ან კი რა უნდა ეთქვა რომ შეხვედროდა? წელანდელი განზრახვა ბავშვურ ახირებად ჩასთვალა...

გიგა რომ არაფერ შუაშია, სხვა დროს, როდისმე ეტყვის... რად უნდა ჩამოვარდეს ვაჟკაცებს შორის შუღლი... უთუოდ ეტყვის, უთუოდ.

უცებ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ეზოდან ჩქარი ნაბიჯით მომავალ კომბაინერს შეაფეთა თვალი.

„ეს ყოფილა წელან ვაშლი რომ მესროლა“, გაიფიქრა დარემ და უცბ იგრძნო, რომ ცხელი ალმური შეეპარა მის ლოყებს. ჯერ შუბლზე, მერე თმაზე ხელი გადაისვა, მონუსხულივით შეჩერდა. კომბაინერმა რატომღაც გაიცინა, თეთრი, მაგარი კბილები გამოაჩინა, ჯიბიდან ერთი მუჭა კალოს ვაშლი ამოიღო და შემკრთალ ქალიშვილს გაუწოდა.

— აჰა, გული გაიგრილე!

დარეს ხელი უნებურად ვაჟის ხელისაკენ წაუვიდა, ერთი ვაშლი აიღო, მოკბიჩა და ყუნწი გადააგდო.

— ვის დაეძებ?..

— ვის უნდა დავეძებდე? — თითქოს ტყუილში დაიჭირესო ისეთი ხმით იკითხა დარემ, მტრედივით განაბული, თავდახრილი იდგა, შეხედვას ვერ ბედავდა, იცოდა ვაჟის ბრიალა თვალებს წააწყდებოდა.

— კარგი. არ ეძებ და ნუ ეძებ. როცა იქნება მაინც იპოვნი, დარე...

— მე დარე არა მქვია...



— ვიცი, — ღიმილით მიუგო თანდაშვილმა, — ვიცი, რომ ხექალასაც გეძახიან!

დარე გაშრა, სახეზე ცეცხლი მოეკიდა.

— ჰო, რა ვქნათ... მეძახიან... ისე... დარეჯანი მქვია...

თანდაშვილმა ქალს წყენა შეატყო, ენაზე იკბინა. მაგრამ უკან მაინც არ დაიხია.

— დარეჯანი... დარე... ხექალა... (ეს ხექალა მაინც რა ჯანდაბაა!) აბა, ახლა მეც გიჩივლო, სამი სახელი ჰქვია-მეთქი?!

— მე არ მიჩივლია.

— ვიცი იმან, იმ კანტორის ვირთხამ გადამიღო!

— არა...

იცის თანდაშვილმა, იცის ვინც გასწერა. იმან — იმ ფოტოგრაფმა!... ეს ქალიშვილი კი თავის კალთას აფარებს, ჰგონია გადაარჩენს, უკაცრავად, უკაცრავად... შერცხვენას არავის შეარჩენს თანდაშვილი! რაც შეეხება ამ გოგოს...

— შენა? — იჭვნეულად ჰკითხა თანდაშვილმა.

— დიახ...

— ვითომ?.. შენა, თვალშიც რომ ჩამივარდე, ხელს არ ამოვისვამ... — ისეთი დაბალი, გულის მაამებელი, თბილი ხმით უთხრა, რომ დარეს უნებურად გააჟრჟოლა და ადგილს მოსწყდა, სოფლისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაიქცა.

— იმას კი, ვაჩვენებ ვინც არი შესარცხვენი! — მიაძახა კომბაინერმა გაქცეულ გოგონას.

დარე მირბოდა. სულმოუთქმელად მირბოდა. მხოლოდ ერთხელ, აწეწილი თმების სწორებით მოიხედა. კომბაინერი ისევ შარაზე იდგა და მას გასცქეროდა.

* * *

დარემ ნათქვამს არ დაუჯერა. უნდოდა კი, გულით უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო. შეღამდა თუ არა, ბიბლიოთეკიდან გამოვიდა და მინდვრის გზას დაადგა. უნდოდა, თავის თვალით ენახა, დარწმუნებულიყო, ენახა ისე, რომ მოწმე არ ჰყოლოდა.

მთვარე ვახშმობდა. ხშირბინდი იწვა ორღობეებში. არავინ შეხვედრია ისეთი, რომ შეჰკითხოდა, საით მიეშურებოდა ამ უდროო დროს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ეზოდან ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მხიარული ძახილი და ხორხოცი მოისმოდა.

დააყურა და ჩქარი ნაბიჯით გააგრძელა გზა. იმ ადგილსაც გასცდა სადაც ამ ხუთიოდე დღის წინათ შუა გზაზე გაჩერებული კომბაინერი მიატოვა და სოფლისაკენ გულაჩქროლებული გაიქცა. ის დღე სულ ღიღინში დაალამა. გაოცებული გიგა მალიმალ ნაპარევად შეხედავდა და თავს აქეთ-იქით იქნევდა. ამღერებულ დარეს გაახსენდებოდა, რომ მის ღიღინს ვიღაც უსმენდა, უცებ ხმას ჩაიწყვეტდა და დარცხვენილი გახედავდა თავის გრძელ უწყისზე თავჩაქინდრულ მოანგარიშეს.

... ამ ადგილას ორღობე მთლად ჩამობურული იყო უზარმაზარი კაკლის ხეებით. დარეს ისე მოეჩვენა, თითქოს ღობის იქით, იქვე, მის გვერდით ვიღაც ფრთხილად მოაბიჯებდა და ოხრავდა, გზის მეორე მხარეს გადავიდა და გულის ფანცქალით ნაბიჯს უმატა.

მინდორზე ნაკლებ ბნელოდა. მომკილი ხოდაბუნები გადასჭრა და პირდაპირ თანდაშვილის ნაკვეთისაკენ წავიდა. ნაწვერლები კანჭებს უფხაჭნიდნენ, ხანდახან ქვას წამოჰკრავდა ფეხს.

რაღაც უზარმაზარი გამოჩნდა შავად. ეს თანდაშვილის კომბაინი იყო. კაცის ხმა არ ისმოდა, ალბათ ყველა ისვენებდა მთვარის მოლოდინში.

დარე ხოდაბუნების ზემოთ ბუჩქნარებში ჩაჯდა და თვითონაც ლოდინი დაუწყო ღამის მნათობს, რომელსაც გვიან ევახშმა და ამოსვლას აგვიანებდა.

თანდათან შეწითლდა აღმოსავლეთი. მთვარე გორის ფხაზე ამოიწვერა და ბზისფერი შუქი გადმოაფრქვია მინდორ-ველს. თანდათან მაღლა იწევდა. ნაკვეთები ირგვლივ გადამკილი იყო. ეტყობოდა, წითელწყაროელი კომბაინერის ბრიგადას მართლაც ღამეები უთენებია და ალბათ თავის ვალდებულებას ყველაზე ადრე შეასრულებდა.

გაისმა ხმაური. მეშტურვალემ ტრაქტორი აამუშავა, ვიღაც კომბაინის ბანზე ავიდა. აგუგუნდა მანქანა, დაიძრა, აშრიალდა მაღალი ყანა.

დარე წამოიწია. მუხლებზე დაყრდნობილი გაოცებით გაჰყურებდა მთვარის მკრთალი ნათელით ოდნავ გაშუქებულ ყანაში შეცურებულ უზარმაზარ მანქანას. მანქანა გრიალებდა, გუგუნებდა... ბრიალებდა, ილეწებოდა ყანა. ჰაერში ტრიალებდა, დაფქულ ოქროსავით იფანტებოდა ნამჯა და ბრელო, გაისმოდა ადამიანთა გადაძახილი.

დიდხანს იჯდა ასე სულგანაბული და მოჯადოებულივით გასცქეროდა უსაზღვრო მინდორ-ველს. უნებურად ტკბილად აუმღერდა, აუღიღინდა გული, სიამოვნებით აუთამაშდა სხეულის ყოველი ნაკვთი; გრილი, თითქმის შეუმჩნეველი ნიავი ევლებოდა შიშველ კანჭებზე და მკლავებზე, თმას ელამუნებოდა გახურებულ სახეზე სცემდა.

ეს წყნარი ნიავი, მისი უჩუმარი გულისცემით ათრთოლებული ღიღინი თითქოს მანქანის მძლავრ გუგუნს უერთდებოდა, ამხნევებდა, წინ სწევდა და მადლობას ეუბნებოდა კომბაინზე მჯდარ ჭაბუკს, რომელიც, მთვარის შუქში გახვეული, ამაყად გაჰყურებდა ამ უცნაური ღამის მშვენიერებას.

ხედავთ რა სიტყვის კაცი ყოფილა თანდაშვილი. სთქვა არავის ჩამოუვარდებიო და აი როგორ ასრულებს ნათქვამს...

უცებ ნიავმა ერთის წამით მოულოდნელად აახმიანა ბუჩქნარი. მაგრამ არა, ეს ნიავის შრიალს არ ჰგავდა, თითქოს ვიღაცამ გადაირბინა ერთი ბუჩქიდან მეორისაკენ, თითქოს...

დარე შეკრთა. გამოფხიზლდა, ფეხზე წამოდგა. კომბაინი შორს წასულიყო. ერთხელ კიდევ ჩამოათვალიერა ბუჩქნარი, კიდევ გახედა მინდორს და იმავე გზით სოფლისაკენ დაეშვა.

გული რომ დაიმშვიდა, ისევ წყნარი ხმით აღიღინდა. მაგრამ არა, ეს რაღაა?

კაცის კვნესა შემოესმა. შიშით გააჟრჟოლა. უკან მიიხედა და სახტად დარჩა: შორიახლოს, ვიღაც მასავით მარტო, ოღონდ ნელა, სულ ნელა მოჩვენებასავით მოაბიჯებდა. იქნებ მთვარის ცრიატი შუქისგან გამოწვეული თვალის ცთუნება იყო, იქნებ რუს პირას ჩარიგებული ნერგების ჩრდილის მოძრაობა ატყუებდა, მაგრამ არა, ახლა დარემ ისიც კი აშკარად გაარჩია, რომ უცნობი თავჩაქინდრული, ბარბაცით მიდიოდა.

ნუთუ გიგაა?

იქნებ წელან, მის ახლოს ბუჩქნარი რომ აშრიალდა და შეაკრთო, გიგა იყო? ნუთუ ისიც გიგა იყო, აქეთ მომავალს ღობის გადაღმა ფეხის ხმა და ოხვრა რომ შემოესმა?.. ნუთუ უკან დასდევს და უთვალთვალებს?.. დარემ ფეხს აუჩქარა და ორღობეებში ისე შერგო თავი, რომ უკან აღარ მოუხედავს.

* * *

მზე კარგად იყო გადახრილი, როცა დარე კოლმეურნეობის კალოსკენ გაეშურა.

ახლა ყველანი კალოზე იქნებიან. მთელ ბრიგადას ერთად გადაუღებს სურათს და კორესპონდენციასთან ერთად რაიონის გაზეთში მოსათავსებლად გაგზავნის.

სიხარულით დაბეჭდავენ. თანდაშვილის ბრიგადამ ხომ მთელს რესპუბლიკაში ისახელა თავი.

კალოზე მხოლოდ ქალები დახვდნენ, რომლებსაც ხორბლის ნარჩენების გაცხავება დაემთავრებინათ და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. დარემ თანდაშვილი იკითხა.

— კომბაინთან ისვენებენ, შვილო, — უთხრა ერთმა დედაბერმა და ღიმილით დაუმატა — სანამ საჭიდაოდან დოლის ხმას არ გავიგებთ, ჩვენი გალვიძება არ შეიძლებაო.

დარე ახლა კომბაინისაკენ წავიდა. მეშტურვალეს კომბაინის ფრთასთან პირქვედამხობილს ეძინა. იქვე, მახლობლად გულაღმა მწოლიარე თანდაშვილი მოჩანდა.

დარემ უკან დაიხია, აღარ უნდოდა ხელახლა ის უსიამოვნება განეცადა, რაც ამასწინათ მძინარე თანდაშვილის დანახვამ აგრძნობინა, გამობრუნება დააპირა, მაგრამ ვიღაც უხილავმა თითქოს ხელი ჰკრა, ნაბიჯი წინ წაადგმევინა. გახედა და გაოცებისა და შეკრთომისაგან ტანში გააჟრჟოლა. კომბაინერი საოცრად შეცვლილიყო. გამხდარ სახეზე ხშირი, წაბლისფერი წვერი მორეოდა, თვალის კილოებთან ბორცვები წამოზრდოდა, ოთხი უძილო ღამის კვალი, მის დაღლილ სახეზე საოცარი სიცხადით აღბეჭდილიყო.

მაგრამ ისეთი მშვიდი, მძინარე ბავშვის ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა მის ვეებერთელა ვაჟკაცურ სახეს, ფართოდ გაპობილ ბაგეს, რომლიდანაც თეთრი, ნაფოტივით დიდრონი კბილები მოჩანდა, ისეთი კმაყოფილების სხივი გამოკრთოდა მის ოდნავ გახელილ თვალებიდან, რომ მოხიბლული დარე დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა სიყვარულით... თუმცა ამ იდუმალ გრძნობას იგი თავისთავსაც კი არ გაანდობდა.

— მიტო! — ნიავივით ჩუმი ხმით ჩასძახა ყურში დარემ, მაგრამ კომბაინერს ისეთი ძილით ეძინა, ნიავს კი არა, ქარიშხალსაც რომ შემოექროლა, ყურსაც არ შეიბერტყავდა.

საჭიდაოზე ხალხი უკვე საკმაოდ შეყრილიყო. ნახერხმოყრილი მოედნისათვის წრე შემოერტყათ. სულ წინ პატარა ბიჭები ისხდნენ, მათ უკან—მათზე მოზრდილები ჩაცუცქულიყვნენ, უფრო უკან — უფრო მოზრდილები შემდეგ, მაღლობზე შემდგარი ათასფრად აჭრელებული კაბებით მოკაზმული გოგონები მოჩანდნენ, შემდეგ შავი სატინის ხალათიანი მოხუცები; ჭიდაობის მოსურნე ჭაბუკები მეზურნეებთან და მსაჯებთან ჩამსხდარიყვნენ და ხმამაღლა, დაცინვით ამხნევებდნენ წრეში საჭიდაოდ გასულ პატარა ბიჭებს:

ძიძგი, ძიძგი მამალა, შენ იცი და მაგანა!..

ზურნა უნიათოდ უკრავდა, მედოლე უგულოდ უბრახუნებდა დოლს. სოფლის ფალავნები აგვიანებდნენ მოედანზე გამოსვლას, პატარძლებივით ინაზებოდნენ.

დარე დაფიქრებული იდგა და მთელის არსებით ვიღაცას თუ რაღაცას მოუთმენლად ელოდა. თვითონაც არ იცოდა რას, ვის? მთელი სოფელი აქ იყო, აი, გიგაც დაინახა. იქვე მის მახლობლად იდგა და მხიარული სტვენით გასცქეროდა მოედანს. დარეს სულაც არ ამჩნევდა.

დარე უცებ გიგასაკენ გადაიხარა და შიგ ყურში ჩასძახა:

— წუხელ, მთვარის ამოსვლის შემდეგ სად იყავი?..

გიგა შეკრთა, ყურზე ხელი აიფარა.

— გული არ გამიხეთქე, გოგო... სად უნდა ვყოფილიყავ, კანტორაში ვიჯექ გვიანობამდე!

— მართლა?

— რაო? საქმე თუ რამ გქონდა, მითხარი! — ისეთი უდარდელი ხმით უპასუხა გიგამ, რომ დარემ განზე მიდგომა და გაჩუმება ამჯობინა. თვითონაც არ იცოდა რატომ, — თითქოს ეწყინა კიდეც. თავი ჩაღუნა.

თანდათან მსხვილი, ტალიკტალიკი ბიჭები გამოდიოდნენ საჭიდაოდ. ზურნა უფრო გაბედულად უკრავდა, უფრო ხალისიანად გაისმოდა დოლის ხმა. მაყურებელთა ხალისი და ყიჟინაც მატულობდა.

დარეს თავმჯდომარის ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა.

— კარგი, დღეს კვირაა, დასვენების დღეა, მაგრამ წუხელ საღამოს სადღა იყავი? მთელი სოფელი გადავატრიალებინე ბიჭებს, სად არ გეძებეთ... რაიონისათვის ცნობები უნდა გადამეგზავნა. ან ის გოგო სადღა დაიკარგა, სად ჩაიყლაპეთ?.. რა ფერი დაკარგე, ბიჭო, იქნებ ტყუილს ვამბობ, ჰა?..

თავმჯდომარის დანარჩენი სიტყვები ხალხის ხმაურში და ხარხარში შთაინთქა.

„ესეც შენ, გამოგიჩნდა თუ არა ანაზდად ციცხვი.“ ნიშნის მოგებით გაიფიქრა დარემ და მალულად, გვერდგვერდათ გახედა გიგას, მაგრამ მაშინვე სიბრალულით შეუტოკდა გული. მოანგარიშე მართლაც ფერდაკარგული, დარცხვენილი იდგა და უაზრო თვალებით გასცქეროდა მოედანს.

მაყურებელს რამდენიმე ახალგაზრდა შემოემატა, მათ შორის თანდაშვილი და მისი კომბაინის მეშტურვალე დაინახა დარემ. თანდაშვილს სოფლის სადალაქოში შეეხვია, პირი გაეპარსა, გამოძინებული, მხიარული გამოხედვა ჰქონდა. მგონი ცოტა გადაეკრა კიდეც. ხალხი ისე მოათვალიერა, თითქოს ვიღაცას ეძებსო, მისი თვალები ჯერ დარეს თვალებს წააწყდა, გაუღიმა, მერე იქვე მდგარ გიგას შეუბღვირა, მხრების ქანაობით მსაჯთან მივიდა და რაღაც უჩურჩულა.

თანდაშვილს მორგვივით ჩადგმული, ჯმუხი, დაბალი ბიჭი გამოუყვანეს, მხრებამდეც ვერ სწვდებოდა. ზურნამ ჭყვიტინს უმატა, ხალხმა სული განაბა.

— კახელი კომბაინერი ჭიდაობს, აბა, ჭიდაობა ეს იქნება, აი!

— კიტრი ბულა გამოუყვანეს, კიტრი ბულა... მუხის კუნძივითაა, მაგას ვინ წააქცევს...— გაისმა ხალხში.

კომბაინერი წელზევით გაშიშვლდა, მკვრივადნაგებ, გარუჯულ მკერდზე ხელი ჩამოისვა და საჭიდაო ჩოხა ისე მოირგო, როგორც საკუთარი ხალათი. თმები უკან გადიყარა, მოწინააღმდეგეს შესცინა და ხელგაშლილი თამაშთამაშით გაეშურა მისკენ. იგი ხალვათად, თავისი ღონითა და სიმარჯვით დაიმედებული მისწვდა კიტრი ბულას ჩოხას და მაშინვე მოგვერდით წამოიღო, მაგრამ ჯმუხა ბიჭმა ფეხები განზე გაშალა და ნალოსავით აეთრევინა მოწინააღმდეგეს. ხალხში სიცილი გაისმა. თანდაშვილი ახლა წელში შეუვარდა კიტრი ბულას, ხელში აიყვანა და ძირს დანარცხება მოუნდომა, მაგრამ მარჯვე მოწინააღმდეგე სუროსავით აეკრა და ჩაეხვია მის გულ-მკერდს...

თანდაშვილს ხმამაღლა გაეცინა, თვალის ერთი მოვლებით ხალხი მოათვალიერა, ჯიუტი მოჭიდავე უფრო მაღლა აიტაცა და თითქოს განგებ, წინა რიგში მდგარი გიგას წინ დაახეთქა.

გაისმა ტაშის ხმა, სიცილი...

გიგა გამშრალი იდგა და მის ფეხთით წაქცეულ მოჭიდავეს თვალს არ აშორებდა.

მეზურნეებმა საცეკვაო დაუკრეს. თანდაშვილმა მკლავები გაშალა, წრეს თამაშით ჩამოუარა, გიგას წინ გაჩერდა და გამომწვევი ღიმილით თავი რამდენჯერმე დაუკრა.

„ნუთუ ცალხელა კაცს საჭიდაოდ იწვევს?.. არ იცის“... — ფიქრობდა დარე და გაფითრებულ გიგას გასცქეროდა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიგას იწვევს, გიგას!

— არ გავა!... გავა!..

— კიტრი ბულა წააქცია და გიგა რას გაუძლებს!

გიგა გაფითრებული, გაოცებული შესცქეროდა ხელგაშლილ კომბაინერს, გონს ვერ მოსულიყო, ვერ მიმხვდარიყო... მერე უცებ, უნებურად გაიხედა დარესკენ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, უხერხული ღიმილით თეთრი ჯიბეებიანი კიტელი გაიხადა, ხელის კანკალით გადაიცვა საჭიდაო ჩოხა და მოედანზე გამოვიდა.

დარეს თანდაშვილის მუქარა გაახსენდა და გული შეეკუმშა, რატომ თავის დროზე არ დაარწმუნა, რომ გიგა არაფერ შუაშია, რატომ წუხელისაც არ მივიდა?.. ეს ხომ არ მოხდებოდა?!

უფრო გამყივანი ხმით აჭყვიტინდა ზურნა. ისევ გაინაბა ხალხი. თანდაშვილს ახლაც წელანდელივით ალალი, მხიარული ღიმილი როდი დასთამაშებდა გახსნილ ბაგე-კბილზე. არა, მისი სახე რაღაც გაუცინარ, გულისგამგმირავ გამომეტყველებას მუშტივით შეეკრა და თითქოს დაეპატარავებინა. შუბლი მოჭმუხვნოდა, თვალები მოეჭუტა, მხრებში მოხრილი უახლოვდებოდა თავის მოწინააღმდეგეს. ხელები უთრთოდა, ფრთხილად მოძრაობდა, თანდათან შედიოდა ჭიდაობის ეშხში.

გიგა შემკრთალი იგერიებდა თავდასხმას, რაღაც იდუმალი, შინაგანი ტანჯვისაგან სახე დაპრანჭოდა და მიწისფრად ქცეოდა. ფრთხილობდა, თანდაშვილის ფანდებს არ პასუხობდა, თავს იკავებდა და მოხერხებულ დროს ეძებდა.

რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაუფლებოდა დარეს გულს. იგი გრძნობდა, რომ გიგა დიდხანს ვერ გაუძლებდა გავეშებულ კომბაინერს. რაც უფრო იღლებოდა და სუსტდებოდა გიგა, თითქოს მით უფრო მეტი ღონე და ჭიდაობის ხალისი ემატებოდა თანდაშვილს, მის სახეს მხიარული იერი დაუბრუნდა, თან დარეს გასცქეროდა, თან ისე უკიოდა მოწინააღმდეგეს, თითქოს დასცინისო.

ღვარძლიანი გული ჰქონია, სამაგიეროს უხდის... მერე რისთვის, რა დანაშაული მიუძღვის გიგას?.. უნდა შეაჩეროს, უნდა ანიშნოს სანამ გვიან არ არის...

გაცეცხლებული დარე წინ გაჭდმოიხარა, სხვების შეუმჩნევლად თანდაშვილს თვალით რაღაცას ანიშნებდა... ცერა თითს მაღლა სწევდა, თან ხელს აქეთ-იქით იქნევდა.

თანდაშვილი მოწინააღმდეგეს იგერიებდა, თან ცალი თვალი დარესკენ ეჭირა, ვერ მიმხვდარიყო ქალიშვილის მუნჯურს... ვერ მიმხვდარიყო რას ანიშნებდა: ემუდარებოდა თუ ემუქრებოდა, აქეზებდა თუ სტუქსავდა...

„ჰმ, მემუქრება, მემუქრება... ვაჩვენებ, როგორც უნდა... შოთივით, რომ გავუბრტყელებ წინ...“

ფიქრობდა თანდაშვილი და მაინც თვალი დარესკენ გაურბოდა.

აი, დარემ ცერა თითის ძირზე საჩვენებელი თითი ხერხივით გადაისვა და გაფართოებული თვალებით გახედა თანდაშვილს.

თანდაშვილმა თავი ღიმილით აქეთ-იქით გაიქნია, გამოწვდილ ხელში ორივე ხელი სტაცა გიგას, მხარზე მოიგდო, მარჯვენა მუხლზე დაიჩოქა და ის იყო მთელის ძალ-ღონით ძირს უნდა დაენარცხებინა, რომ უცებ თვალი გაუშტერდა... რაღაც იგრძნო, რაღაცას მიხვდა, რაღაც დაინახა... აშკარად დაინახა რომ მის ხელებში დაბღუჯულ გიგას მარჯვენა ხელს ცერა თითი აკლდა. მაშინვე ისევ იქით გაექცა თვალი, სადაც სახეალეწილი და მხრებაწურული დარე იდგა. ვეღარ მოაშორა თვალი ქალიშვილის დაჟინებულ მზერას. ღიმილი, რომელიც მომხიბვლელი მოსართავივით ამშვენებდა წეღან მის სახეს, ელვის უსწრაფესად წაიშალა. წამიერმა ფიქრმა მოიცვა მისი თვალები.

ალბათ დარე ამას ანიშნებდა... არ წააქცევს, არ შეარცხვენს, არა... მოჭიდავის ძალა მარჯვენა ცერშია... რატომ არ იცოდა... აი, ახლავე წამოდგება, ფეხს აითრევს, დრო გავა და გააშველებენ... მერე მსაჯი დაიძახებს, ორივე კარგი ბიჭიაო, და... ამით გათავდება... აბა, მაშ რა ბიჭობაა!..

თანდაშვილის ვეება მხარზე მოქცეულმა გიგამ ანაზდეულად იგრძნო, როგორ მოუდუნდა მძლავრი მკლავები კომბაინერს, ძალა მოიკრიბა, შეიფართხალა, ხელიდან გაუსხლტა და ცალფეხზე დაჩოქილ მოწინააღმდეგეს გამართული მუხლის საკეცში უკნიდან რკინის კეტივით შემოჰკრა მსხვილი ბანჯგვლიანი ფეხი. თანდაშვილი უკან გადავარდა და ორივე ბეჭი დაჰკრა მიწას.

— არის, არის, არის!

— არ არის, არ არის, არ არის! — გუგუნებდა ხალხი და ხან სწრაფად ფეხზე წამომხტარ თანდაშვილს გასცქეროდა, ხანაც მსაჯს, რომელიც თავის თანა-

შემწეებს და მეზურნეებს რაღაცას ეთათბირებოდა.

თანდაშვილი გაქვავებული იდგა. მისი ვეებერთელა, ნაცემი ბავშვივით გავარვარებული სახე საცოდავ, უცნაურ ღიმილს უნებურად დაებრიცა.

— არის!.. არ არის!.. არის! არ არის!.. — ყიჟინებდნენ პატარა ბიჭები.

ხანამ მსაჯები გადასწყვეტდნენ, თანდაშვილმა ხელი მაღლა ასწია, ხალხს ნაძალადევად გაუცინა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიძახა:

— არის, ამხანაგებო, არის!

მერე საჭიდაო ჩოხა გაიხადა და თავჩაღუნული გავიდა წრიდან.

ხალხი მოწონების ნიშნად ისევ აგუგუნდა, მაგრამ თანდაშვილის გულშემატკივრები არ ისვენებდნენ:

— არ არის, არა...

— ნასვამია!

— ნასვამი კი არა, დაღლილია!

— ოთხი დღე და ღამეა კომბაინიდან არ ჩამოსულა!

ჭიდაობა დამთავრდა. ზურნის ხმა შეწყდა. ხშირბინდი ეპარებოდა დედამიწას. ღამდებოდა.

*

* *

თანდაშვილი ჯერ კარგად ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა... ვერ მიმხვდარიყო „რამ" წააქცია. ის კარგად ახსოვდა, რომ დარე რაღაცას ანიშნებდა, რომ გიგას ცერწაწყვეტილი მარჯვენა ხელის დანახვაზე თვალი გაუშტერდა, გაშეშდა, მკლავები მოუდუნდა... სწორედ ამ დროს გამოჰკრა ფეხი გიგამ და წააქცია, გულდაღმა დასცა...

ვერავინ, ვერავინ შენიშნა რომ ყველაფრის მიზეზი მისი თვალის წამიერი გაშტერება იყო... ყველაფერში კი დარე იყო დამნაშავე. მან დააბნია მან გაუშტერა თვალი. ეს სულ ერთი წამის ამბავი იყო, წამის კი არა, წამის მეასედის. რა ფიქრმა არ გაიელვა მის თავში ამ ერთი თვალის დახამხამების განმავლობაში!.. დარე კი... მაგრამ იქნებ დარეც ისე ფიქრობს, როგორც ყველა... იქნებ მასაც ჰგონია, რომ გიგამ დასჯაბნა... იქნებ ასეც უნდოდა და ახლა დასცინის კიდეც?.. ასეა, ნამდვილად ასე. ვინ არის თანდაშვილი მისთვის?.. უცხო, შორიდან მოსული კაცი, ვიღაც გადამთიელი.

შორიდან ისევ მოისმოდა წინწასული ზურნის ყრუ ჭყვიტინი და სოფლისკენ მიმავალი გოგო-ბიჭების ჟრიამული.

თანდაშვილმა გზიდან გადაუხვია, რუს წყალზე პირი დაიბანა და იქვე ხის ძირას ჩამოჯდა. წყალი ისევ წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე, გახსნილ საკინძეს უსველებდა. ჭრელი, ბალდადივით დიდი ხელსახოცი ამოიღო და პირის შემშრალებას შეუდგა. სისველე მაინც აწუხებდა, საკინძე მაინც უსველდებოდა, ჭირისოფლს ასხამდა.

თავი გაიმასხრა, სახელი გაიტეხა... ალბათ ახლა გიგა და დარე... ჯანდაბაშიც წასულან, ზედაც არ შეხედავს იმ ხექალას!

ფეხზე წამოდგა, ერთხელ კიდევ გაიწმინდა შუბლი და გზაზე გამოვიდა. ორღობეში უკვე ბინდი იწვა.

უცებ ფრთხილი ფეხის ხმა, მერე ისეთივე ფრთხილი ძახილი შემოესმა.

— რა გნებავს?.. — უკმეხი მტრული ხმით წამოიძახა თანდაშვილმა და გულში გადასწყვიტა, ღობესთან მოჩვენებასავით ატუზული ქალიშვილის წინ ისე გაევლო, რომ არ შეჩერებულიყო.

„აქ იმისთვის დამხვდა, რომ დამცინოს, გული უარესად ამიფორიაქოს", — გაიფიქრა თანდაშვილმა და მართლაც გულისმომკვლელი ხითხითი შემოესმა.

დარე ღობის მარგილს მიყრდნობოდა, თავი უკან გადაეხარა და იცინოდა. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა, ჭაბუკი გრძნობდა, რომ ეს სიცილი დაცინვას არა ჰგავდა. არა, ქალიშვილი მას არ დასცინოდა... თითქოს თავის გულში უცინოდა რაღაცას თუ ვიღაცას... (იქნებ მას?) თითქოს საკუთარ გულს ჩასძახოდა, ჩაჰხაროდა და ეალერსებოდა.

— წამაქციეთ, გამლახეთ და დამცინით კიდეც?!

ქალიშვილმა გაოცებით შეხედა მის წინ პირქუშად გაჩერებულ თანდაშვილს.

— ვინ წაგაქცია?..

— ვინა და თქვენ... შენ და იმან... გიგამ... უფრო შენ.

დარემ ახლა კი ხმამაღლა, ისე ლაღად და წრფელად გადიხარხარა, რომ თანდაშვილმა აქეთ-იქით ფრთხილად მიმოიხედა.

— მე?.. მე წაგაქციე, ბიჭო?..

(ოჰ, ეს „ბიჭო", რა თბილად, რა ალერსით იყო ნათქვამი!)

დარემ თანდაშვილს პირდაპირ შეხედა. საღამოს ბინდბუნდში მისი სახე მკრთალი, გაფითრებული და შეწუხებული მოეჩვენა.

— ჰო, ჰო, მართალია.— დაუმატა მან უცებ დაბალი ხმით,— მიგიხვდი, ჩემი ბრალია, წაგაქციე, მაგრამ ისევ წამოდექ, შენ რა გიშავს... ის კი რომ წაქცეულიყო, ჯავრი შესჭამდა. ეგღა აკლდა!

გიგას გახსენებაზე უცებ ნაღველი შემოაწვა დარეს გულს. სახე მოეღრუბლა. უნდოდა რაღაც მკვახე გულისმკვლელი ეთქვა თანდაშვილისთვის, შეერცხვინა, გულღვარძლიანობა მიეხალა პირში.

თანდაშვილი უფრო ახლოს მივიდა მასთან და ღამის ბინდბუნდში მან აშკარად დაინახა ქალიშვილის ბდღვრიალა გაცეცხლებული თვალები.

— რა გინდოდა დაგემტკიცებინა ახლა იმით, რომ გამოიწვიე? გინდოდა წაგექცია და შეგერცხვინა, ხომ?.. რა გინდოდა, რა?

თანდაშვილი გაოცებული უსმენდა გაანჩხლებულ დარეს, თან საოცარ კმაყოფილებას გრძნობდა... გრძნობდა, რომ ამ ქალიშვილის გული სადღაც მის გულთან ახლოს სცემდა, თორემ ასე ლაპარაკს ვერ გაუბედავდა.

— არაფერი... გულისჯავრი მინდოდა მომეკლა.

— გულისჯავრი... ვიცი, კარგად ვიცი, მაგ გულს რა ჯავრიც ხრავდა, მაგრამ ხომ გითხარი, რომ ის წერილიც მე დავწერე და სურათიც მე გადაგიღე, მაშ! თუ შეგეძლო, გულისჯავრი ჩემზედ გეყარა!

— შენზედაც ვიყრი, — პირქუშად, ჩუმი ხმით უთხრა თანდაშვილმა და სულ ახლოს, ისე ახლოს მიიწია, რომ დარეს გაწეწილ თმებს საღამოს გრილი ნიავი სახეში სცემდა და ულიტინებდა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გიგა...საბრალო გიგა...

წელან დარემ საჭიდაოდან აქეთ რომ გადმოუსვია და ორღობეში ამ მარგილთან შეჩერდა, თითქოს ფეხდაფეხ მოსდევდაო ისიც წამოეწია. თეთრი აბრეშუმის კიტელის საკინძი ისევ შეხსნილი ჰქონდა, ქამარი ხელში ეჭირა, გაწითლებულ სახეზე ოფლის ხვითქი გადასდიოდა... გამარჯვებულის იერი სულაც არ ედო სახეზე, თავჩაქინდრული და დაღონებული მოდიოდა. ჩრდილში გაჩერებულ ქალიშვილს ვერც შეამჩნევდა, მაგრამ დარემ ვერ მოითმინა და შეეხმიანა.

— რამ დაგაღონა, ბიჭო, რა სახე ჩამოგტირის?

გიგამ საყვედურით შეხედა და თავი აქეთ-იქით ისე გაიქნია, თითქოს რაღაცაზე უარს ეუბნებაო...

— რაო, იქნებ არც გიხარიან?.. დევივით ვაჟკაცი წააქციე, შენ სიცოცხლეში გეყოფა სახელად!...

ეჰ, სახელი, სახელი... რათა მტანჯავ გოგო რათა?.. განა არ ვიცი აქ რას უზიხარ და ვის ელოდები... — წყენით წამოიძახა გიგამ.

დარეს ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა, თავი ჩაღუნა, ხმა გაკმინდა. გიგა ისე მიეფარა მის თვალს, რომ ზევით აღარ აუხედავს, ეშინოდა მის ნაღვლიან გამოხედვას არ წაწყდომოდა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ეს კი, ეს... თანდაშვილი (რომელსაც მისი გული ახლა ასე უმიზეზოდ და უსაბუთოდ დაჰხარის!) დგას ამ ორღობეში მის წინ, დოინჯი შემოუყრია და დაბღვერილი შესცქერის.

უცებ თანდაშვილმა ლაპარაკი დაიწყო. დაბალი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად. გულისტკივილით ლაპარაკობდა. ისე თითქოს თავისთავს უტყდებაო.

— ვიცი, ახლა კარგად ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ, შენთანაც, იმასთანაც. უფრო იმასთან... მაგრამ ხომ არ ვიცოდი... არ ვიცოდი, რომ უცერო იყო... გარდა ამისა...

აქ ხმა ჩაუწყდა, შუბლზე ხელი გადაისვა და სულ დაბალი ხმით, თითქოს ჩურჩულით განაგრძო:

— ...გარდა ამისა, იმან უფრო მომიკიდა ცეცხლი, რომ რაღაც ნარ-ეკალივით არის ამოსული ჩვენს შუა!

დარე გაოცებული უსმენდა. ყურს არ უჯერებდა, ღობის მსხვილ მარგილს ზურგით მიყრდნობოდა, მღელვარებისაგან კანკალებდა. კბილს კბილზე აცემინებდა. თავი უკან გადაეხარა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა.

აი, რა უცებ დადგა ის წამი, რომელიც მას აგრე შორეული, უცხო და მიუწვდომელი ეგონა. რა უცებ, ანაზდეულად გაიგონა ის, რის თქმასაც სხვები ვერ უბედავდნენ, თანდაშვილმა კი ასე უხეშად, სიტყვასა და სიტყვას შუა მიახალა და ტანში ჟრჟოლა მოჰგვარა.

მათ შორის „ნარ-ეკალივით ამოსული" გიგა ახლა თავჩაქინდრული უზის თავის მაგიდას და ფიქრობს, ფიქრობს... დარეზე ფიქრობს. დარე კი ამ მოწმენდილ ცას შესცქერის და თანდაშვილს უსმენს. იმ კაცს, რომელმაც მის გულში ასე უცებ, თავის შეუწუხებლად იპოვნა ადგილი.

ირმის ნახტომის წვრილ-წვრილი ვარსკვლავების ხშირი, ბზესავით შეფრქვეული ნათელი ზოლი ირიბად გადაწოლილიყო მუქლურჯად ჩამობნელებულ ცაზე და საქორწინო ჟინჟლილებით გაშუქებულ გზასავით მოემართებოდა ბრუტსაბძელადან ქსილისის მთებისაკენ.

ეს მრავალჯერ ნახული მშობლიური ზეცაც, რომელიც მის ბავშვურ ოცნებას ყოველთვის მაღალი და ამ იდუმალი წამივით შორეული ეჩვენებოდა, ახლა თითქოს დაბლა დაშვებულიყო და ამ მოშრიალე კაკლის ხეებზე ჩამომხობილიყო.

ეს გრძნობა მას უცნაურ ჟრუანტელს ჰგვრიდა. წამით ყველაფერს ავიწყებდა ჯერ კიდევ უცხო, შეუჩვეველ ვაჟკაცის თავბრუდამხვევი სიახლოვე, მიმზიდველი სითბო, მისი გახშირებული სუნთქვა, რომელიც სახეში მინდვრის სურნელით გაჟღენთილი ნიავივით სცემდა... და თითქოს გულისტკივილსაც განიცდიდა, თითქოს აქამდე ნაცნობი და შეჩვეული რაღაც სწყდებოდა მის ათრთოლებულ გულს.

— გცივა, გოგო, გცივა?..

ჩაეკითხა ჭაბუკი და შიშველ მკლავებზე ხელები მოსჭიდა, უნებურად თავისკენ მიიზიდა. დარე უფრო მეტად კანკალებდა და თანდაშვილის უცნაურად ხმაწართმეულ ჩურჩულზე „გცივა, გოგო... კიდევ გცივა, გოგო?" — უფრო მეტად ეკვროდა ჭაბუკის საოცარ თბილ, მზისგან გახურებულ კლდესავით თბილ, მაგარ მკერდს.

— ნეტავ არ გეთქვა, ნეტავ ეგ არ გეთქვა... აბა რა იცი, იქნებ შენ თვითონ ამოხვედი ნარ-ეკალივით!

— თუ ასეა, თუ ასეა — ბუტბუტით დაიწყო თანდაშვილმა და თავი გაოცებით უკან გადასწია. ენა დაება, უკან დაიხია. მაგრამ დარემ წასვლა არ დაანება. მის მკერდს ისევ მიენდო და ყრუდ წაიჩურჩულა:

— აბა ახლა იმას... იმას ჰკითხე?!..

მერე ხმამაღლა ამოიკვნესა. ამ კვნესამ შეაკრთო, გამოაფხიზლა, მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ამ ბნელ ორღობეში უცხო ჭაბუკის მკერდს შეუმჩნევლად მინდობოდა. მიიხედ-მოიხედა, უნებურად ჰკრა ხელი გულზე, მისი ღონიერი მკლავები მოიშორა, ნიდაყვში ხელი მოჰკიდა და ძალით გადაადგმევინა ნაბიჯი.



ელექტრონული ბიბლიოთეკა



გარდაბანის რაიონის ყარაიაზის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ფოტოზე: ხბოების მომვლელი თ. გრომოვა.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

ფოტოზე—მარჯვნივ ზემოთ: პიონერებმა დაათვალიერეს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობა

ქვემოთ: ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადი ფოტო
ბ. კრეპსისა



ქ. გორკი. ქართველი პიონერები ჩკალოვის ძეგლთან.

ნორჩი ექსკურსანტები თბომავალ „ლერმონტოვით“ მგზავრობენ მდინარე ვოლგაზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი პიონერების ჯგუფი მოსკოვში.

ფოტო ბ. კრეპსისა

# საინტერესო მოგზაურობა

რევაზ ჩხეიძე

საზაფხულო არდადეგების დროს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სხვადასხვა კაბინეტის წევრებმა საინტერესო ექსკურსია მოაწყვეს მარშრუტით: თბილისი—მოსკოვი; მოსკოვიდან ექსკურსია დაეშვა ვოლგაზე ქალაქების გორკის, კაზანის, კუიბიშევის, სარატოვის და სტალინგრადის გავლით. აქედან—ვოლგა-დონის არხზე გავლით მათ დაათვალიერეს ჩვენი ეპოქის დიადი მშენებლობები. ექსკურსიის საბოლოო პუნქტი, რა თქმა უნდა, ისევ მშობლიური თბილისი იყო.

საექსკურსიო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ისეთი ბავშვებით, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასწავლო წელი და რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასახლესთან არსებულ წრეებში. აქ იყვნენ ყმაწვილები სასახლის თითქმის ყველა კაბინეტიდან: ლიტერატურისა და გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და ისტორიის, ავიომოდელისტთა და ფიზიკის, მხატვრული აღზრდისა და ტექნიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის კაბინეტებიდან.

მთავრდებოდა მეორე დღე, რაც ექსკურსია თბილისიდან გამოვიდა და როგორც მოგზაურობაში განვლილი ორი დღის შთაბეჭდილებათა შედეგი, უკვე იწერებოდა საველე გაზეთი, რომელსაც სათაურად ჰქონდა „მოსკოვისაკენ!". გაზეთის შედგენა ის იყო იწყებოდა. წერილებს, რომლის დაწერაც ბავშვებს უკვე მოესწროთ, კუპეში ჩაკეტილი რედკოლეგიის წევრები ერთხელ კიდევ კითხულობდნენ და ასწორებდნენ. განსაკუთრებით გულმოდგინებას იჩენდა ახლად არჩეული რედაქტორი, მე-9 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე გურამ ლორია. იგი ცდილობდა არ გაპარვოდა არც ერთი შეცდომა, თორემ იცოდა მეგობრების ყბად აღებას ვერ გადაურჩებოდა. სხვა რომ არაფერი იყოს გურამს უკვე სასკოლო გაზეთების რედაქტორობის „დიდი სტაჟი" ჰქონდა და არ შეეფერებოდა, რომ ახლა თავი შეერცხვინა. იქვე გვერდით სამგზავრო ჩემოდანზე აკვარელის ფუნჯით ხელში კარიკატურას ხატავდა მიშა სმირნოვი. ეს ნახატიც გაზეთისთვის იყო განკუთვნილი. კარიკატურის თემად გადაიქცა ამბავი, რომელიც სოჭის ახლოს მოხდა. იქ მატარებელი რამდენიმე წუთით შეჩერდა ზღვის ნაპირებთან სულ ახლოს. საკმარისი იყო ასიოდე ნაბიჯის გარბენა და უკვე ზღვის ტალღები მოგხვდებოდათ ფეხებში. ხარბად აცხუნებდა ივლისის მზე, ვაგონში ცხელოდა, წინ კი წარმტაცად ლივლივებდა ზღვის ტალღები, არაჩვეულებრივად წყნარი და არაჩვეულებრივად მიმზიდველი... დიდი იყო ცთუნება და ზოგიერთების გულმა ამ ცთუნებას ველარ გაუძლო...

ზღვიდან ამოსულ ბავშვებს თმაზედ ჯერ კიდევ ზღვის წვეთები არ შეშრობოდათ, რომ ეს ამბავი განხილული იქნა საჩქაროდ მოწვეულ საერთო კრებაზე და წესრიგის დამრღვევთ კოლექტივმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. რა თქმა უნდა, საველე გაზეთის რედკოლეგიამაც გადაწყვიტა თავისი სიტყვა ეთქვა უდისციპლინობის გამოვლინების შესახებ და მიშა სმირნოვმაც აღარ დააყოვნა. აღმოჩნდა, რომ მომავალ სკულპტორს (მიშა წარმატებით მეცადინეობს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქანდაკების წრეში) აკვარელიც კარგად უჭრიდა. აი ახლა მას მესამე მოცურავის სხეულიც გამოჰყავდა, რომელიც თითქმის დედიშობილა ხელში ტანსაცმელით, თავქუდმოგლეჯილი მისდევდა აძრულ მატარებელს.

მალე გაზეთიც გამზადდა და რედკოლეგიის წევრები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ გადადიოდა მათი პირველი ნამუშევარი ხელიდან ხელში, კუპედან კუპეში.

მატარებელი ხმაურით მიჰქროდა წინ და თანდათანობით უახლოვდებოდა მოსკოვს!

დადგა ნანატრი დღე. შორიდანვე გამოჩნდა მოსკოვის მრავალსართულიანი შენობები.

ბავშვები მოლოდინში გაინაბენ. მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა. ზედიზედ უკან სტოვებდა პატარა სააგარაკო სადგურებს და მოსკოვისაკენ მიისწრაფოდა. რადიოში ჟღერდა საზეიმო მუსიკა. როგორც ყოველი დიდი სადგურის მისასვლელში, ლიანდაგები ათასნაირად აირიენ ერთმანეთში, მატარებელმა შუა ხაზი აირჩია ამ უთვალავ ზიგზაგებიდან და სადგურზე ხმაურით ჩამოდგა.

სადგურზე თბილისელ ბავშვებს მოსკოველი პიონერები შეეგებნენ. შეეგებნენ ხელში ცოცხალი ყვავილებით, შეეგებნენ სიხარულით და მეგობრული ღიმილით· პირველ შეხვედრისთანავე დაიბადა მათ შორის უშუალო მეგობრობა. დამხვდურები ჩამოსულებს ეკითხებოდნენ საქართველოს ამბებს, აინტერესებდათ ჩვენი მოსწავლეთა ცხოვრება, სწავლის წარმატებები, სპორტი. თანაც გულდასმით ურჩევდნენ თბილისელ სტუმრებს, თუ რა დაეთვალიერებიათ მოსკოვში.

როდესაც ყველა ერთ დიდ ავტობუსში მოთავსდნენ, ავტობუსმა გეზი მოსკოვის პიონერთა სახლისაკენ აიღო. აღმოჩნდა რომ მოსკოველ ამხანაგებს წინასწარვე ეზრუნათ სტუმრების დასახვედრად, გაემზადებიათ ცალკე ლამაზად მორთული ოთახები და ახლა გაგონებაც კი არ სურდათ იმის შესახებ, რომ ქართველ სტუმრებს ბინა სადმე სხვაგან ექიათ.

კიდევ უფრო მშობლიური და ძვირფასი გახდა ექსკურსანტებისათვის მოსკოვი. რამდენიმე დღის განმავლობაში ათვალიერებდნენ ისინი საბჭოთა ხალხის ამ დიად დედაქალაქს. ყოველ მათგანს ხელში ეკავა უბის წიგნაკი და ფანქარი და ხარბად იწერდა შთაბეჭდილებებს.

ექსკურსიის ხელმძღვანელებისათვის ადვილი როდი იყო დასათვალიერებელი ადგილების შერჩევა. მოსკოვში ხომ უამრავი ადგილებია აუცილებლად სანახავი.

ექსკურსანტებმა ინახულეს მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი მრავალსართულიანი შენობათა კორპუსები ლენინის გორებზე, ინახულეს ლენინის მუზეუმი, ტრეტიაკოვის გალერეა, ისტორიული მუზეუმი, ინახულეს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი საჩუქრების გამოფენა, რამაც განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე.

თბილისელმა მოსწავლეებმა ნიშნად უსაზღვრო სიყვარულისა თაიგულებით შეამკეს დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ძეგლი.

ქართველი პიონერები დაკვირვებითა და ყურადღებით სწავლობდნენ მოსკოვის პიონერთა სახლის კაბინეტებს, ადარებდნენ მას ჩვენი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კაბინეტების მუშაობას. თავის მხრივ მოსკოველებიც ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ თბილისის პიონერთა სასახლის მუშაობაში. „ამისათვის კი მეგობრებო — მიმართა მათ საექსკურსიო ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯ. ენუქიძემ—საჭიროა თქვენც ისევე გვეწვიოთ თბილისში, როგორც ჩვენ გეწვიეთ მოსკოვს".

მოსკოველებმა სიხარულით მიიღეს ეს მიწვევა და აღუთქვეს თბილისელებს, რომ მომავალ ზაფხულს უეჭველად ჩამოვიდოდნენ საქართველოს დედაქალაქს·

31 ივლისს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა საექსკურსიო ჯგუფი გამოვიდა ქალაქ მოსკოვიდან და დაიწყო მოგზაურობა სამდინარო გემით, რომელსაც „ლერმონტოვი" ერქვა.

***

გემი „ლერმონტოვი" აუჩქარებლად ტოვებდა უკან მოსკოვ-ვოლგის არხსა და მის ნაგებობებს. აი რიბინსკის წყალთსაცავი—მისთვის ტყუილად როდი უწოდებიათ „რიბინსკის ზღვა". ნაპირი არა ჩანდა, ირგვლივ წყალი იყო, აქა-იქ კუნძულებსაც კი ამოეყო თავი. „ასეთ კუნძულებზე სანადიროთაც კი დავდივართ ხოლმე—უთხრა ბავშვებს ერთ-ერთმა მოსკოველმა მგზავრმა—მწყერი, იხვი [illegible] და კიდევ მრავალი სხვა ფრინველი". ეს ცნობა რა თქმა უნდა, ნორჩმა ნატურალისტებმა დაუყოვნებლივ შეიტანეს თავიანთ სამახსოვრო წიგნაკში. პირველსავე შედარებით ხანგრძლივ გაჩერებაზე უგლიჩში, მაშინ როდესაც ყველა ყურადღებით ათვალიერებდა მეფისწულ დიმიტრისთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს, ნორჩმა ნატურალისტებმა არ დაივიწყეს უგლიჩის მცენარეები შეეტანათ ჰერბარიუმში. არც შემდგომში უღალატნიათ ბავშვებს ამ საქმისათვის და მთელ გზაზე—ვოლგაზე და ვოლგა-დონზე შეგროვებული იქნა მდიდარი ჰერბარიუმები, რომლებიც ახლა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა ბიოლოგიის კაბინეტში ინახება.

არც სხვა კაბინეტის ბავშვები იყვნენ უსაქმოდ. განა შეიძლება გაიარო ისეთი ქალაქი, როგორიც არის გორკი ან კაზანი, სარატოვი ან კუიბიშევი და უამრავი ძვირფასი ცნობები არ მიიღო? აი მაგალითად ქალაქი გორკი. რამდენი რამ არის საინტერესო. ეს ხომ მაქსიმ გორკის სამშობლო ქალაქია, აქ დაიბადა და აქ დგას კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის იაკობ სვერდლოვის პატარა სახლი, ეს ის ადგილია, საიდანაც სამშობლოს ძახილზე რუსეთის სახალხო ლაშქარს წამოუძღვა კუზმა მინინი, აქ დგას შესანიშნავი ქანდაკებები ვალერი ჩკალოვისა და მაქსიმ გორკისა, აქვეა მოლოტოვის სახელობის უდიდესი საავტომობილო ქარხანა.

...მაგრამ ბავშვებს განსაკუთრებით იმ ქალაქის ნახვა წყუროდათ, რომელიც საბჭოთა ხალხის გმირობის შარავანდედით არის მოცული—ქალაქ სტალინგრადისა! მოძრაობის განრიგების მიხედვით გემი „ლერმონტოვი" სტალინგრადში საღამოს შედიოდა. დგომის დრო კი ოთხი საათი იყო.—ვაი თუ დათვალიერება ვერ მოვასწროთ, მით უმეტეს რომ უკვე ღამე იქნება,—აღელვებდა პატარებს ეს გარემოება.

გემმა ნაპირზე მიდგომა დაიწყო, სიბნელეში გემბანიდან მომხიბვლელად მოჩანდა სტალინგრადის სანაპიროს გაჩირაღდნებული ტრიუმფალური კოლონადა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვები პედაგოგებთან ერთად არბოდნენ სანაპიროს გრანიტოვან კიბეებზე და სტალინგრადის ქუჩებში მიაბიჯებდნენ. აგერ ის უნივერმაღი, რომლის სარდაფში ცოცხლად იქნა შეპყრობილი ჰიტლერელთა ფელდმარშალი, აქ ფაშისტთა შტაბში რადიოტალღებს უკანასკნელ წუთებამდე მოჰქონდა ფიურერის ისტერიული ბრძანება „იდექით ადგილზე! გაუძელით შეტევას! იდექით ადგილზედ!" მაშინ ირგვლივ გამაყრუებელი ხმაურით სკდებოდა ყუმბარები, გრუხუნებდნენ ტანკები... დღეს ამ უნივერმაღის განათებულ ვიტრინებზე აწყვია ბავშვთა თოჯინები და სათამაშოები, სპორტული ინვენტარი და პარფიუმერია... უნივერმაღის კარებთან კი მშვიდად ხვრინავს უნივერმაღის დიდი კატა...

თბილისელმა ბავშვებმა ინახულეს სერჟანტ პავლოვის ცნობილი სახლი. ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი, არაფრით რომ არ გამოირჩევა სხვა საცხოვრებელ კორპუსებიდან, რომელიც ამ რაიონში მრავლადაა ჩამწკრივებული. ახლა ამ სახლს, როგორც სტალინგრადის გმირ დამცველთა ერთ-ერთ ბასტიონს, მთელი მსოფლიო იცნობს...

მაგრამ სტალინგრადი ეს მარტო მუზეუმი როდია. სტალინგრადი ეს არის—მისი შესანიშნავი ახალი პროსპექტები და სახლები, მისი შესანიშნავი მოედნები და ქარხნები; სტალინგრადი ეს არის მშვიდობის დაცვის დიდი სიმბოლო. ტყუილად როდი ჰქვია ამ ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს პროსპექტს „მშვიდობის პროსპექტი".

იმ დღეს ბავშვებს დიდხანს არ დაუძინიათ. დიდხანს ჰქონდათ მათ საუბარი ერთმანეთში იმის შესახებ, რაც მათ სტალინგრადში ნახეს. დიდი იყო შთაბეჭდილება და არა ნაკლები მოლოდინი. სტალინგრადის შემდეგ გემი ვოლგის მთავარ დინებას შორდებოდა და იწყებოდა ვოლგა-დონის არხი!

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჰორიზონტზე ვოლგა-დონის პირველი რაბი გამოჩნდა. შესანიშნავი, არქიტექტურულად საზეიმო იერის მქონე, ტექნიკურად უზადო ეს ნაგებობანი, გაოცებასა და აღტაცებას იწვევდა თვითეულში. მესამე რანგის კაპიტანმა ერტახოვმა, მოსწავლეებს უამბო იმ უბრალო ადამიანთა შესახებ, რომლებიც ძალას, ენერგიას და უნარს არ იშურებდნენ, რათა ერთმანეთთან შეერთებიათ ორი დიდი მდინარე ვოლგა და დონი.

ქართველი მოსწავლეები ყურადღებით სწავლობდნენ ვოლგა-დონის არხს. მთელი მოგზაურობის მანძილზე, აკვარიუმებში შეგროვებულ თევზების გვერდით, ნორჩმა ნატურალისტებმა ვოლგა-დონის თევზთა ჯიშების მოთავსებაც მოიწადინეს, მაგრამ თევზის დაჭერა გაძნელდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც გემი ციმლიანსკის ზღვაში მიცურავდა, მეშვიდე კლასელმა თამაზ ძოძუაშვილმა უეცრად გააჩინა ცოცხალი თევზი. როგორც იგი ირწმუნებოდა, მან ეს თევზი დაიჭირა პეპლების საჭერი პატარა ბადით! ამხანაგებმა ხმამაღლაც კი გამოთქვეს ეჭვი ამის შესახებ, მაგრამ თამაზს წარბიც არ შეუხრია და აუღელვებლად თავისას იმეორებდა.

მოგზაურობის დროს ბავშვები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათ არ გამოეპარათ ლევან კაველაძისა და მიშა სმირნოვის დაბადების დღე. ორივენი ერთ დღეს დაბადებულან: 3 აგვისტოს ქალაქ თბილისში. ახლა კი ვოლგაზე იყვნენ, შორს სამშობლო ქალაქიდან. ბავშვებმა ჩუმად მიიღეს გადაწყვეტილება და 3 აგვისტოს უბრალოდ, მაგრამ დიდი გულითადი სითბოთი აღნიშნულ იქნა ორი მეგობრის დღეობა. „საზეიმო საღამოს" ახლად შეძენილი მეგობრებიც დაესწრნენ: რუსი ილონა სკვარცოვა და უზბეკი ბოგატირ ნასიროვი. უსაზღვრო მხიარულება იყო გემის ვიწრო კაიუტაში. ცეკვა-თამაშისა და სიმღერის ხმა გემბანიდან გარეთ თვალუწვდენელ სივრცეში იკარგებოდა.

***

სასწავლო წელი დაიწყო. ბავშვებმა შეაღეს საკლასო ოთახის კარები. დაუბრუნდნენ ისინი მშობლიურ სკოლას გაზრდილნი და დავაჟკაცებულნი და ახალი ენერგიით შეუდგნენ სწავლას.

სასკოლო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი, პირველ სექტემბერსვე ყმაწვილებმა მშობლიურ პიონერთა სასახლისაკენ გასწიეს. ისევ ხმაურითა და სიხალისით აივსო სასახლის მშვენიერი კაბინეტები. ყველგან, ყოველ კუთხეში გაისმოდა საუბარი, სიცილი. და ყველგან, ყოველ კუთხეში, ყოველი ჯგუფის ყურადღების ცენტრში, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საექსკურსიო ჯგუფის მიერ ჩატარებულ საინტერესო მოგზაურობის ამბები იყო.

# ქუთათური კონსერვები

გ. ციციშვილი

ფოტო შ. ჩხეტიანისა



ფ ო ტ ო ზ ე: ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მზა ნაწარმის საამქროს სტახანოველი კონტროლიორი გუგული გოგიჩაიშვილი (მარცხნივ) ამოწმებს სტახანოველი მუშის კომკავშირელ მარო მოსეიანცის მიერ მწვანე ბარდაზე გაკრული ეტიკეტების სიზუსტეს.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა, რომელიც 20 წლის წინათ აიგო, ძირითადად ქუთაისის რაიონის ნედლეულის ბაზაზე მუშაობს. იგი განუწყვეტლივ ადიდებს ბოსტნეულის კონსერვების გამოშვებას, უფრო მრავალფეროვანს ხდის მის ასორტიმენტს.

წელს ქარხანამ მიმდინარე სეზონი ჩვეულებისამებრ მწვანე ბარდის გადამუშავებით დაიწყო. ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ნაცვლად 280 ტონისა, 389 ტონა მწვანე ბარდა ჩააბარა საკონსერვო ქარხანას, აქ შემჭიდროებულ ვადაში გადაამუშავეს ეს ნოყიერი ბოსტნეული და 1 მილიონამდე ქილა კონსერვი დაუმზადეს მოსახლეობას. მოსკოვიდან, სტალინგრადიდან, ოდესიდან, ვლადივოსტოკიდან და ჩვენი ქვეყნის მრავალ სხვა კუთხიდან, სადაც იგზავნება ქუთაისის მარკის მწვანე ბარდის კონსერვი, ქარხანაში ხშირად მოდის მადლობის გრძნობის გამომხატველი წერილები. მწვანე ბარდა, ისიც კარგად შემზადებული, რაც ქუთაისის კონსერვზე უთუოდ ითქმება, ხომ შესანიშნავი საკაზმია.

გარდა მწვანე ბარდისა, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს სახელი აქვს განთქმული ნეჟინის კიტრის, ჭარხლის იკრის, დაფარშული წიწაკის, სტაფილოს ტოლმის და სხვა ბოსტნეულის კონსერვებით. ასევე ითქმის აჭაური შინდის, ალუბლის, ღელვის, ვაშლის, ტყემლის მურაბებსა და კომპოტებზე. აქ ამჟამად 50 სახის პროდუქციას ამზადებენ.

ქარხნის სტახანოველები დავით კუხიანიძე, ნინო ძიძიგური, ნათელა კილაძე, თამარ კიკნაველიძე, გრიგოლ ხორხომელიძე, დავით ყუბანეიშვილი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად ორ-ორ ნორმას ანაღდებენ, სამართლიანად ამაყობენ იმ ფაქტით, რომ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში ამშვენებს მშრომელის სუფრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ქარხნის კოლექტივი, როგორც ერთი კაცი, დგას მაღალნაყოფიერი შრომის ვახტზე და რიტმულად ასრულებს დავალებებს. აქ განვლილი 9 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. განსაკუთრებით დაწინაურდნენ მეკონსერვეები სექტემბერში, როცა გეგმა 120 პროცენტით შეასრულეს და დამატებით ქვეყანას მისცეს 700 ათასზე მეტი ქილა კონსერვი.

სეზონის განახლების შემდეგ ქარხნის კოლექტივმა სამასი ვაგონი ხილბოსტნეულის კონსერვი გააგზავნა სხვადასხვა მიმართულებით და ახალ გამარჯვებებს მიაღწია გორისა და მოძმე სომხეთის ქალაქ ოქტიაბრინსკის საკონსერვო ქარხნების კოლექტივებთან შეჯიბრებაში.



ფ ო ტ ო ზ ე: ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მთავარ საამქროს კომკავშირული ბრიგადის სტახანოველი ბრიგადირი დავით კუხიანიძე (მარცხნივ) დარიგებას აძლევს სტახანოველ მუშას მარია სოკოლსკაიას.

---

იოსებ ნონეშვილი

## ციცინათელები

ციცინათლებს ცხელი,
ბნელი ღამე უყვართ,
რომ ჰენთონ უცებ
სიყვარულის შუქად.

მიტომ ეხვევიან
მაგ შენს დალალ-კავებს...
თმებში ჩაგიფრინდნენ,
ხომ არ დაგიწვავენ?

## [illegible]...

შუბლზე წარბთა წყვილი
ცისარტყელა ბრწყინავს,
ნაწნავებიც მხრებზე
ირხევიან წყვილად;

გიშრის წყვილი თვალი,
მარჯნის ბაგე წყვილი,
წყვილად,
        წყვილად,
                წყვილად
ჩაწყობილი კბილი...

მაგრამ გაგიბედავ
წყვილ-წყვილ განძით შემკულს,
გული რად გაქვს კენტად?
დაუწყვილე ჩემს გულს.

---

# „$B_{12}$"

ხანმოკლეა სისხლის წითელი და თეთრი ბურთულების სიცოცხლე. სულ რაღაც ორმოციოდე დღე თუ არსებობენ. განუწყვეტლივ ხდება სისხლის ბურთულების განახლება—ნორჩი უჯრედების მთელი არმია მოედინება ძვლის ტვინიდან, სადაც ეს უჯრედები წარმოიშობა.

უჯრედების წარმოშობის პროცესი ფოლიუმის სიმჟავის უცილობელი მონაწილეობით ხდება. ფოლიუმის სიმჟავე ვიტამინია, რომელიც პირველად მიღებულ იქნა მწვანე ფოთლებისგან (აქედან სახელწოდება „ფოლიუმ", ლათინურად—„ფოთოლი"). თუ ეს სიმჟავე ცოტაა, ან სულ არაა, უჯრედები არ ვითარდებიან, განუვითარებელი სახით კი სისხლის ძარღვების სისტემაში ვერ აღწევენ, და ორგანიზმში წონასწორობა ირღვევა: ძვლის ტვინი ივსება განუვითარებელი უჯრედებით, სისხლის ძარღვთა განშტოებული ქსელი კი მწვავედ განიცდის მათ ნაკლებობას. ასე წარმოიშობა მძიმე სნეულება—ანემიის ავთვისებიანი ფორმა—სისხლნაკლულობა.

ფოლიუმის სიმჟავის ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს ყველასათვის ცნობილი სალათა, მჟაუნა, ისპანახი, განსაკუთრებით კი, მარწყვი და მისი კულტურული სახეობა—ხენდრო.

საბჭოთა მეცნიერებმა შეისწავლეს ამ ვიტამინის ფაქიზი ქიმიური აღნაგობა და ლაბორატორიაში ხელოვნურად შექმნეს ის. სინტეტიკური პრეპარატი თავისი მოქმედებით არაფრით ჩამოუვარდება ბუნებრივს. საკმარისია შეყვანილ იქნას ის ორგანიზმში და სისხლი სწრაფად მდიდრდება ნორჩი უჯრედებით,—ავადმყოფი იკურნება.

ვიტამინი „$B_{12}$" თითქმის ათასჯერ უფრო აქტიურია ფოლიუმის სიმჟავეზე.

გასაოცარია ამ ნივთიერებით მკურნალობის შედეგები.

„$B_{12}$" არა მარტო ხელს უწყობს უჯრედების განვითარებას, არამედ სპობს იმ გართულებებსაც, რომელნიც ზოგჯერ თან ახლავს ავთვისებიან სისხლნაკლულობას, როგორიცაა ნერვული დაავადებანი, როცა, მაგალითად, იშლება მგრძნობიარობა, ისპობა მადა, გემოს შეგრძნება, ირღვევა მოძრაობათა შეთანხმებულობა.

„$B_{12}$"—მეთორმეტე გოლიათია „B" ვიტამინების ოჯახიდან. მაგრამ მას ვერ იპოვით ვერც ხილში, ვერც პურის მარცვლეულში, ნაპოვნია ის ბალახის მჭამელი ცხოველის ღვიძლსა და თირკმელებში, აგრეთვე ამ ცხოველთა კუჭის მიკროფლორაში. სწორედ აქ ხდება ამ ვიტამინის ისეთნაირი სინთეზი, რა სახითაც იყენებს ხოლმე მას ორგანიზმი. „$B_{12}$"-ს ქმნიან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ერთნამცეცა არსებანი—ბაქტერიები.

ავთვისებიანი სისხლნაკლულობა, საბჭოთა მეცნიერის პროფ. ვ. ნ. ბუკინის აზრით,—ავიტამინოზია. ის წარმოიშობა არა იმიტომ, რომ ორგანიზმი საჭმელთან ერთად ვერ ღებულობს საჭირო ვიტამინს საჭირო რაოდენობით, არამედ იმიტომ, რომ ირღვევა მისი შეწოვა: „$B_{12}$" თითქოს ვერ აღწევს თავისი დანიშნულების ადგილამდე, და ორგანიზმი სნეულდება.

ანემიით დაავადებული ადამიანის განსაკურნავად სავსებით საკმარისია ერთი თვის მანძილზე $B_{12}$-ის ხსნარის გარკვეული დოზით კანქვეშ ინექცია.

# მოღვაწეობის 45 წელი



## იდიდე, სამშობლოვ!

**გალაკტიონ ტაბიძე**

კვლავ კიდევ
და კიდევ
ახადე
ბნელს რიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

მთის კიდედ
ზღვის კიდედ
სახალხო
გმირთ ზრდიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

გრდემლს სცემდე
თუ მკიდე,
მუხანათს
შიშს ჰგვრიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

სინათლის
სიწმინდეს
ვარდებად
გვიწვდიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გალაკტიონ ტაბიძე

საქართველოს სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს სამწერლო მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. პოეტი 45 წელია დაუღალავად ემსახურება მშრომელ ხალხს, უმღერის მას, აღაფრთოვანებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

პოეტმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე თავისი პოეზია მშრომელი ხალხის ცხოვრებას დაუკავშირა, სწორედ ამით აიხსნება ის დიდი სიყვარული და პოპულარობა, რაც მის შემოქმედებას ხვდა წილად. გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი პირველი საბჭოთა პოეტია, რომელიც აღტაცებით შეხვდა დიდ ოქტომბერს და მგზნებარე, აღმაფრთოვანებელი ლექსები მიუძღვნა დიად პროლეტარულ რევოლუციას. გალაკტიონ ტაბიძის მიერ იმ პერიოდში დაწერილი ლექსები ქართულ საბჭოთა პოეზიაში ბრწყინვალე საგანძურად შედის. გალაკტიონ ტაბიძის უაღრესად ხალხური, მგზნებარე, მაღალმხატვრული ლექსი მუდამ აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს გმირულ ბრძოლასა და თავდადებულ შრომაში. ხალხმა ზეპირად იცის პოეტის მრავალი ლექსი. მშრომელი ხალხის ასეთი სიყვარული მხოლოდ ხალხის გულიდანვე გამოსული მწერლის ხვედრია.

ამას წინათ ზეიმით იქნა აღნიშნული გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა ამხ. ს. ჭილაიამ. ვრცელი მოხსენება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ გააკეთა პროფესორმა შალვა რადიანმა. პოეტს სიტყვებით მიესალმნენ გ. აბაშიძე (საქ. მწერალთა კავშირის სახელით), ალ. ბარამიძე (საქ. მეცნიერებათა აკადემიის სახელით), ა. შანიძე (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით), პოეტი კავკაზაკი (სამხრეთ ოსეთის საბჭოთა მწერალთა კავშირის სახელით). იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ა. აბაშელმა, მ. მრევლიშვილმა, ხ. ბერულავამ, ა. თევზაძემ, ა. სულაკაურმა, ე. ქურდიანმა, ი. ნონეშვილმა. საქართველოს სახალხო პოეტს მიესალმნენ აგრეთვე ნორჩი პიონერები, რომლებმაც მას საჩუქრად ყვავილებისაგან დაწნული ჩანგი მიართვეს.





# რძის კომბინატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ვ. ჯეირანოვისა



პიროგოვის ქუჩაზე მდებარე პატარა, პრიმიტიულად მოწყობილი რძის ქარხანა ველარ აუდიოდა თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, არა თუ მთელ მოსახლეობას, მის მიერ გადამუშავებული პროდუქცია ძლივს ჰყოფნიდა საბავშვო დაწესებულებებსა და ზოგიერთ საწარმოს.

დღითი დღე იზრდება ხალხის კეთილდღეობა, დღითი დღე მეტ მოთხოვნილებას აყენებს საბჭოთა მოქალაქე. პატარა ქარხანა ველარ დააკმაყოფილებდა ამ დიდ მოთხოვნილებას.

თბილისში აშენდა რძის კომბინატი, რომელიც ყოველდღიურად ამუშავებს ათეულ ტონობით რძეს.

კომბინატი ყოველდღიურად იღებს რძეს საგარეუბნო კოლმეურნეობებიდან და თბილისის რაიონის პუნქტებიდან. ახლო-მახლო ადგილებიდან რძის ტრანსპორტირება ხდება ბიდონებით.

კომბინატი რძეს თეთრი წყაროს რაიონიდანაც ღებულობს. აქედან რძეს ეზიდებიან 2800 ლიტრიანი ცისტერნებით.

რძეს იღებს მიმღები-სააპარატო საამქრო, როლგანებზე ხდება ბიდონების გადმოტვირთვა. ლაბორატორიის მუშაკები აქვე ამოწმებენ რძის სიმჟავესა და ცხიმიანობას. აქედან სპეციალური მილებით რძე მიდის სააპარატოში, სადაც ხდება მისი პასტერიზაცია. 70°-მდე ცხელდება რძე. ეს სითბო მას უვნებელს ჰყოფს ბაქტერიებისაგან. შემდეგ ცხელი რძე სპეციალური მოწყობილობების საშუალებით ცივდება და მიედინება უზარმაზარ რეზერვუარებში, რომელთაც „ტანკებს“ ეძახიან. 6 ტონა რძეს იტევს თვითეული „ტანკი“.

პასტერიზებული რძე უკვე მზად არის მომხმარებელთან მისატანად. რძის უმეტესი ნაწილი ყოველი დილით იგზავნება სპეციალურ სავაჭრო წერტებში გასასყიდად.

რძის ნაწილს კი იყენებს ქარხანა — მაწვნის, ხაჭოს, სულგუნისა და ნაყინის დასამზადებლად.

დამზადებული პროდუქცია მანქანა-რეფრეჟორაქტორებით იგზავნება ადგილებზე — საბავშვო დაწესებულებებში, საწარმოთა სპეცსაამქროებში და ფართო მომხმარებლებისათვის მისასყიდად.

ნაყინის საამქრო უმთავრესად ბრიკეტებს ამზადებს, ნაწილობრივ ნაყინს ვაფლის ჭიქებითაც უშვებს. ჯერჯერობით მხოლოდ 4.000 ცალ ვაფლის ჭიქას აკეთებს რამდენიმე მანქანა.

ქარხანაში პროდუქციის დამუშავების პროცესები უმთავრესად მექანიზებულია. მექანიკურად ხდება რძისა და მაწვნის ბოთლებისა და ნაყინის გილზების გარეცხვაც. საათში 4.000 ცალ ბოთლს რეცხავს მანქანა.

ქარხანასთან არსებობს შემფუთავი საამქრო, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციების საწყობიდან იღებს კარაქს და მანქანების საშუალებით აწარმოებს მის შეფუთვას 200 და 500 გრამიან ბრიკეტებად.

ჯერ კიდევ მთელი დატვირთვით არ მუშაობს თბილისის რძის კომბინატი, მაგრამ სულ მოკლე ხანში, რაღაც ორი-სამი წლის შემდეგ მთლიანად გამოყენებულ იქნება მისი საწარმოო სიმძლავრე, მეცხოველეობის აღმავლობის შედეგად კომბინატი გადასამუშავებლად მიიღებს გაცილებით უფრო დიდი რაოდენობის რძეს.

# მეჩაიე ეთერი ჯიბუტი

ვ. გოგოლაძე

ეთერი ჯიბუტი სოფელ შუაგანახლების მკვიდრია. ეს სოფელი ახლა დაბას უფრო გავს; ორ-ორ სართულიანი სკოლების და ადმინისტრაციული სახლის შენობა, საექიმო პუნქტი, კლუბი, ფოსტა-ტელეგრაფი, კოოპერატივის სავაჭროები, ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტი... ერთი სიტყვით მართლაც განახლებულია დღეს ეს სოფელი.

ჩაი, სიმინდი, სოია, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა — აი ძირითადი დარგები, რომელთა განვითარებამ შეძლებული და საამური ცხოვრება დაუმკვიდრა მოსახლეობას. ჩაის კულტურა კი პირველ პლანზეა აქ, ხალხმა იცის მისი ფასი, უყვარს და თავს დასტრიალებს ჩაის ყოველ ბუჩქს. ეთერი ჯიბუტი მოწინავე მეჩაიე ქალია სოფელში.

ეთერის ჩაის ნაკვეთი საავტომობილო შარაგზასთან მდებარეობს. იგი მაღალი შქერის ღობით არის შემოკავებული. სათუთად მოვლილი ჩაის ბუჩქები ისე არიან „განებივრებულნი“, რომ მაღალ ღობესაც ზევიდან დაჰყურებენ. არც ერთი ქასრა, არც ერთი სხვა სარეველა, ასეთია ეთერი ჯიბუტის ნაკვეთი. ახლა ამ ნაკვეთს „ეთერის ჩაის“ უწოდებენ სოფლელები. როცა ამ პლანტაციაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, არ შეიძლება არ გაიხსენონ აქ, ამ ადგილზე ძველად უსარგებლოდ გახარებული მწარე პანტა, ტყისთხილის ბუჩქები, გავერანებული ბარდ-ეკალი, რომლის გამო სავსებით გამოუყენებელი იყო მიწა. დღეს ეს ნაკვეთი ყველაზე მაღალმოსავლიანი ჩაის პლანტაციით არის დაფარული. მაგრამ ჩაის ბუჩქები ასეთი ძლიერნი როდი იყვნენ აქ ამ რამდენიმე წლის წინათ.

შრომის სიყვარული, მისი ყადრი და ლაზათი ეთერმა პატარაობიდან იგემა. ჯერ იგი არასრული საშუალო სკოლის მერხს უჯდა, როცა სამამულო ომის მძიმე წლებში, 14 წლის გოგონა, მთელი ენერგიით შველოდა მშობლებს, მეზობლებს, ქალებსა და ხანში შესულ მამაკაცებს,—ვაჟკაცი მეომრების შემცვლელებს—საკოლმეურნეო შრომაში. ჩაის წარმატებით კრეფისათვის მან, ბავშვმა, ორი მედალიც კი მიიღო ჯილდოდ, ხოლო 1948 წელს 16 წლის გოგონას კოლმეურნეობის გამგეობამ ნდობა გამოუცხადა და იგი ჩაის პლანტაციაზე მიამაგრა, სადაც ეთერის არა მარტო უნდა ეკრიფა ჩაის მწვანე ფოთოლი, არამედ უნდა მოევლო კიდეც პლანტაციისათვის.



ეს უდიდესი ნდობა მან პირნათლად შეასრულა. 1949 წელს ისე კარგად იმუშავა ეთერმა, რომ ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა მედლით „მამაცური შრომისათვის“. ეთერის დახელოვნება, მისი მოსაზრებულობა ასაკთან ერთად იზრდებოდა. 1950 წელს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6104 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ასეთი უხვი მოსავლის მიღებისათვის მას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 23 ივლისის ბრძანებულებით მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელი.

ეთერის დაჯილდოება მისმა მეზობლებმა მთელი სოფლის დაჯილდოებად მიიჩნიეს. უმაღლესი ჯილდოს საპასუხოდ კიდევ უფრო უკეთესად მოაწყვეს შრომა, კიდევ და კიდევ გაადიდეს შუაგანახლების კოლმეურნეობის მოსავალი, მეტი პროდუქტები და ფულადი შემოსავალი მიიღეს კოლმეურნეებმა. ეთერი თავს დასტრიალებს თვითეულ ბუჩქს; თვითეულ ყლორტს, მას ესმის თვითეული ბუჩქის საჭიროება, ესმის მისი „ენა“, იგი ამ ძვირფასი მცენარის ნამდვილი მესაიდუმლეა.

# ლაპარაკობენ მოწაფეები

ელბაქიძის აღმართის მარცხენა მხარეზე ტროტუარს რკინის მოაჯირი მიჰყვება. ხშირად გამვლელნი ამ მოაჯირს, როგორც კიბის სახელურს ხელს ჩაავლებენ ხოლმე. აღმართით დაღლილი მოხუცები კი შეჩერდებიან, ზედ დაეყრდნობიან და მტკვრის სანაპიროს გადახედავენ.

...ამ მოაჯირის გასწვრივ საშუალო ტანის, ხანში შესული, მაგრამ ბრგე აგებულების კაცი მიდიოდა. იგი მშვიდად და აუჩქარებლივ სუნთქავდა. სრულიადაც არ იყო დაღლილი, მაგრამ მაინც შეჩერდა, მდინარისკენ გაიხედა, მერე მოაჯირის მრგვალ რკინას ორივე ხელის თითები ჩასჭიდა, ისე როგორც ტანსავარჯიშო ღერძს ჩაებღაუჭება ხოლმე სპორტსმენი და გაეღიმა, თითქოს რაღაც მოაგონდაო. ცოტა ხნით ასე იდგა, მერე წელში გაიმართა და გზა განაგრძო.

ეს იყო ცნობილი სპორტსმენი და პედაგოგი, საქართველოში ტანვარჯიშის ფუძემდებელი გიორგი სიმონის-ძე ეგნატაშვილი. იმ დღეს პირველად ვხედავდი მას. მეორედ კი გ. ს. ეგნატაშვილს ამ ერთი კვირის წინათ შევხვდი, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში შევედი და ერთ-ერთ სტუდენტს ვკითხე, თუ სად იქნებოდა მათი მასწავლებელი.

— გასახდელ ოთახშია, — მიპასუხა სტუდენტმა.

გიორგი ეგნატაშვილი ფეხზე წამოდგა, თავაზიანად მომესალმა და როდესაც ბოლომდე მომისმინა, თითქოს ჩემი თხოვნა მოულოდნელი იყო მისთვისო, ოდნავი აღელვებით მიპასუხა, და ეს პასუხი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო:

— ბოდიში, მაგრამ მე ვერ ვილაპარაკებ ჩემს თავზე, არ შემიძლია.

პირველად მომეჩვენა, რომ კარგად ვერ გავიგე მისი პასუხი. ვაპირებდი ხელმეორედ ამეხსნა ჩემი სტუმრობის მიზეზი, მაგრამ როდესაც ზარი დაირეკა და გ. ეგნატაშვილი სასპორტო დარბაზში გასასვლელად მოემზადა, კვლავ გამიმეორა:

— თუ გნებავთ სხვებზე გიამბობთ, სხვა ტანმოვარჯიშეებზე, ჩემზე კი არ მეხერხება, მაპატიეთ, — და სტუდენტებთან გავიდა მორიგი გაკვეთილის ჩასატარებლად.

— ასეთია, რა უნდა ქნათ, არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი — წარმოთქვა არჩილ ბაქრაძემ — ძველმა ცნობილმა ტანმოვარჯიშემ და გ. ეგნატაშვილის ერთ-ერთმა საუკეთესო მოწაფემ. მას უკვე დაემთავრებია სტუდენტებთან მეცადინეობა, ჩუმად იჯდა და ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს, — ყოველთვის ასეთი იყო; თავმდაბალი, ჩუმი, ამხანაგების და მოწაფეების მოყვარული, — განაგრძო მან, — ძალზე დისციპლინიანი, უანგარო და უპრეტენზიო.

— თქვენს გარდა კიდევ ვინ ითვლება მის მოწაფედ? — ვკითხე მე და გავიფიქრე: „კეთილი, თუ მასწავლებელს **მხოლოდ „სხვა ტანმოვარჯიშეებზე“** შეუძლია ლაპარაკი და თავის თავზე კი არ ეხერხება, მაშინ ის „სხვა ტანმოვარჯიშეები“ მიამბობენ მასწავლებლის შესახებ“.

— ვინ მოსთვლის — მიპასუხა არჩილ ბაქრაძემ — ბევრნი ვართ, მერკვილაძე, კაიშაური, პროკოფიევი, რცხილაძე, ჯორჯაძე, ბაბილოძე, მეიფარიანი, ყანჩაველი, თაყაიშვილი.... ყველა მისი მოწაფეა. იმათ შორის კი, ვინც სპორტს არ შერჩა — აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე, ქორეოგრაფი დ. ჯავრიშვილი, მომღერალი ქეთო ჯაფარიძე და სხვები.

— თვითონ ვისი მოწაფე იყო?

— ჰოო... ეს გრძელი ამბავია. ცხრაასიან წლებში თბილისში ჩამოვიდა ჩეხი ტანმოვარჯიშე ლუკეში. მან აქ დააარსა ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი, ამ ჯგუფში გიორგიც შესულა. ჩეხები მაშინ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ტანმოვარჯიშეებად ითვლებოდნენ. მაგრამ ახალგაზრდა გიორგიმ ისეთი ნიჭი და მონდომება, სურვილი და ენერგია გამოიჩინა, რომ 1912 წელს პრაღაში გამართულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ხარისხის ჯილდო მიეკუთვნა. პრაღაშივე დაამთავრა მან ტანვარჯიშული კურსები და საქართველოში დაბრუნების შემდეგ თბილისის სხვადასხვა გიმნაზიებში შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას. ეგნატაშვილის ინიციატივით ტანვარჯიშში მეცადინეობა ქართველმა ქალებმაც დაიწყეს. მათ შორის უნდა აღინიშნოს თ. საყვარელიძე, ო. მენთეშაშვილი, ქიქოძე...

ყველაფერი მიამბო არჩილ ბაქრაძემ, რაც კი რამ იცოდა და გაეგონა მისი საყვარელი მასწავლებლის და მეგობრის შესახებ. მეორე დღეს კი ეგნატაშვილის მეორე მოწაფეს, — გიორგი მერკვილაძეს ვესტუმრე. იგი ამჟამად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგედ მუშაობს.

— ძალზე თავმდაბალი ადამიანია, ძალზე — წარმოთქვა გ. მერკვილაძემ, როდესაც გ. ეგნატაშვილთან შეხვედრის ამბავი გადავეცი — იშვიათად, ჩვენი დაჟინებული თხოვნის შემდეგ, გვიამბობდა ხოლმე საინტერესო ამბავს რომელიმე განთქმული ტანმოვარჯიშის ცხოვრებიდან, იმ სპორტსმენის სახელი პირველად გვესმოდა, ამიტომ ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდით და როდესაც სახლში მივიდოდით მხოლოდ მაშინ დავვეჭვდებოდით; საკუთარ წარსულზე ხომ არ გვიამბობდა ჩვენი მასწავლებელი? უცნობი სპორტსმენის სახელი კი ალბათ გამოიგონა... რაც მახსოვს ყველაფერს გეტყვით: 1919 წელს გიორგი საქართველოს განათლების სამინისტროში იწყებს მუშაობას. აქ იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინდელი მთავრობის წარმომადგენლები — მენშევიკები, არავითარ ზრუნვასა და ყურადღებას არ იჩენდნენ სპორტისადმი. არ იყო სპორტბაზები, სასპორტო ინვენტარი, არ იყო თანხები, ერთი სიტყვით არავითარი პირობები არ იყო შექმნილი სპორტის განვითარებისათვის. ეგნატაშვილი იძულებული გახდა პირადი თაოსნობით ემოქმედა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეგნატაშვილს საშუალება მიეცა ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა ეწარმოებინა ახალგაზრდებს შორის, გამოეჩინა მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობანი.

ედ. ყიფიანი



1925 წელს ეგნატაშვილმა დასწერა და გამოსცა ფიზიკური მომზადების სახელმძღვანელო ოთხწლედებისათვის. 1927 წელს კი, როდესაც ტანვარჯიშში არავითარი პროგრამა არ არსებობდა, მან შეიმუშავა 5 საკვალიფიკაციო პროგრამა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ქართველი სპორტსმენები. ოსტატთა პროგრამა პირველად ოთხმა ტანმოვარჯიშემ აითვისა, მათ შორის გულო რცხილაძემ, რომელიც შემდეგში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა... (მისი მოწაფეებიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ ჯორჯაძე, ბაბილოძე, ყანჩაველი, თაყაიშვილი).

რამდენიმე საათის შემდეგ თბილისის ჯანგანყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსის — გულო რცხილაძის კაბინეტში ვიჯექი.

— ახალგაზრდები ხშირად ვიგონებდით ხოლმე ახალ ტანვარჯიშულ ილეთებს სხვადასხვა სასპორტო იარაღზე, — დაიწყო გ. რცხილაძემ, — მაშინ პატივცემული გიორგი უკვე ხანში შესული გახლდათ და პრაქტიკულად ვეღარ ასრულებდა ვარჯიშებს, ამიტომ ვფიქრობდით, რომ მას შესწორების შეტანა აღარ შეეძლო ჩვენ მიერ შემუშავებულ ახალ ილეთებში, რომლებიც არასდროს არ შეესრულებინა, და რომლებსაც უკვე ვეღარ შეასრულებდა. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენ ყოველთვის ვტყუვდებოდით. ერთხანს გვიყურებდა, თვალს გვადევნებდა, თუ როგორ ვასრულებდით ამ ახალ ილეთებს, მერე ერთბაშად ისეთ შენიშვნას მოგვცემდა, ისეთნაირად მიგვითითებდა. რომ სულ გაგვიადვილებდა რაც უნდა რთული ილეთი ყოფილიყო. დაუღალავად მუშაობდა, უყვარდა მოწაფეები, მაგრამ ამავე დროს ძალზე მკაცრი იყო, ვერ ითმენდა დისციპლინის ოდნავ დარღვევასაც კი. ერთხელ მოსკოვში მიმდინარე შეჯიბრის დროს რამდენიმე წუთი დავაგვიანე წვრთნაზე. მაშინ არაფერი არ უთქვამს. თბილისში რომ ჩამოვედით ორი თვით დამითხოვა მეცადინეობიდან. ამავე მიზეზით დაითხოვა ერთხელ გიორგი ნიკოლაძეც. არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ გ. ნიკოლაძე საუკეთესო ტანმოვარჯიშე იყო, არც იმას რომ იგი მაშინ უკვე პროფესორად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აი, ასეთი იყო და არის გიორგი ეგნატაშვილი. იგი სპორტსმენებსა და ნამდვილ ადამიანებს ზრდის... ბავშვობიდანვე დაჩვეული ყოფილა სისწორეს, ამხანაგებისადმი დახმარებას, სიმართლეს, თავაზიანობას, ცოდნის გაზიარებას...

— თუ იცით რომელ წლიდან დაიწყო მან ტანვარჯიში?

— მაგას ვერ გეტყვით. არც სხვას ეცოდინება მისი მოწაფეებიდან. კარგი იქნება, თუ მოძებნით ოჰანეს არაქელოვს, ეგნატაშვილის ბავშვობის მეგობარია და ძალზე უყვართ ერთმანეთი. ასე რომ სასიამოვნო მოსაუბრე გეყოლებათ... ვერ გეტყვით სად მსახურობს, მხოლოდ გვარი და სახელი ვიცი, მეტი არაფერი...

— რომელი წლიდან დაიწყო ტანვარჯიში? — ჩაფიქრდა ოჰანეს არაქელოვი, როდესაც მოვძებნე და „დახმარება“ ვთხოვე, — როგორ გითხრათ, 1892 წელს გურგელას მშობლები ვერის დაღმართზე გადმოვიდნენ საცხოვრებლად... ჰო, გურგელას ვეძახდით ბავშვობისას და ახლაც აგრე ვეძახი... ჰოდა, მაშინ გავიცანით ერთმანეთი, რვა-ცხრა წლისა ვიქნებოდით. მტკვრის ნაპირას გავდიოდით, ვჭიდაობდით, ლახტსა და ოთურმას ვთამაშობდით, ვცურაობდით და წყალში ვხტებოდით, სიმძიმეებსა ვწევდით. გურგელა მუდამ პირველი იყო, — ცოტა ხნით გაჩუმდა და შემეკითხა. — ვერის დაღმართზე რომ რკინის მოაჯირია ხომ შეგიმჩნევიათ?

— როგორ არა — ვუპასუხე მე.

— ჰოდა, იმ რკინებზე ყირას სჭიმავდა გურგელა. სხვადასხვა ვარჯიშებს იგონებდა, აი იქიდან დაიწყო მისი ტანვარჯიშიც.

მაშინვე მომაგონდა იმავე მოაჯირთან შეჩერებული ბრგე აგებულების ჭარმაგი კაცი — გიორგი ეგნატაშვილი, სანაპიროს რომ გადახედა, თითები რომ ჩასჭიდა რკინას და გაეღიმა — ალბათ მაშინ თავისი ბავშვობა გაახსენდა სახელოვან სპორტსმენს.

## საღამო ბაღში

### შ. ფორჩხიძე

მე მახსენდება საღამო მშვიდი,
ნაძვების ჩერო, ბაღი, პალმები...
შენ დაგყვებოდი მხარდამხარ რიდით
და ფიქრს მოეცვა შენი თვალები.
შენს მშვიდ თვალებში:
ო, შენზე ფიქრით —
მეხატებოდა მე მომავალი...
და გავცქეროდით სტეპში,
დნეპრს იქით
გზას მიჰკიოდა შორს ორთქლმავალი.
ჩვენ ვოცნებობდით ბაღში მარტოკა,
ირგვლივ პალმების ჩრდილები იწვა.
შორს ცისკრის სხივი ადგა კახოვკას
და მანანები ათოვდა მიწას.
უცებ ნაძვის ხე შეირხა ბაღში,
და ქარში
ნამი დაცვივდა პალმას...
ჩვენსკენ მორბოდა პატარა ბავშვი,
უკან მოსდევდნენ დედა და მამა.
შენ მიეგებე პატარას კდემით,
და სავსე მკერდში ჩაიკარ იგი!
ბავშვი შემკრთალი იძახდა დედი,
და აცეცებდა ლურჯ თვალებს ირგვლივ.
ნეტავ შენს გულში მაშინ რა მოხდა,
როს მოეფერე ბავშვს მოკრძალებით.
შუბლზე სიწითლემ დაგკრა რატომღაც
და გამიღიმე ცისფერ თვალებით.
შენ მეტი ღელვით გითრთოდა მკერდი,
ცა სიყვარულის ნათელში გვხვევდა.
მივსდევდით ბილიკს პალმების გვერდით
ალბათ შენც გსურდა გრქმეოდა „დედა“.
შენს მშვიდ თვალებში
ო, შენზე ფიქრით —
მეხატებოდა მე მომავალი...
და სადღაც ისევ სტეპში, დნეპრს იქით,
გზას მიჰკიოდა შორს ორთქლმავალი.

# სცენაზე და კულისებში

ეროვნული ბიბლიოთეკა





სცენა სპექტაკლიდან „დღესასწაული საკრეულაში“. სსრკ-ის სახალხო არტისტი ა. ვასაძე და ლ. ლამბაშიძე.

სსრკ-ის სახალხო არტისტი აკ. ხორავა თეატრის დასის წინაშე კითხულობს მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის ულიამ დიუბუას, პიესას „შაიტი“.



**ს**აზაფხულო გასტროლებისა და შესვენების შემდეგ თბილისის თეატრებმა ახალი სპექტაკლებით დაიწყეს ახალი სეზონი. გამონაკლისს წარმოადგენს ოპერისა და ბალეტის თეატრი, სადაც ტრადიციის მიხედვით სეზონი ყოველთვის იხსნება დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერით“. ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი მიმდინარე სეზონში მაყურებელს უჩვენებს რამდენიმე ახალ სპექტაკლს. სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საოპერო თეატრებიდან საგასტროლოდ მოწვეული იქნებიან საუკეთესო მომღერლები. გენიალური რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 60 წლის თავის აღსანიშნავად თეატრი ამზადებს „ევგენი ონეგინის“ ახალ დადგმას. საიუბილეო დეკადაში შეტანილია აგრეთვე ოპერები: „მაზეპა“, „იოლანტა“, „პიკის ქალი“ და სხვ. თეატრის შემდეგი ახალი სპექტაკლი იქნება კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ახალი ოპერა „ჩხიკვთა ქორწილი“. ეს ნაწარმოები შეავსებს საბავშვო სპექტაკლების სიმცირის გამო თეატრის რეპერტუარში არსებულ ხარვეზს.

რუსთაველის სახელობის დრამატიულმა თეატრმა სეზონი გახსნა ს. კლდიაშვილის ახალი პიესით „დღესასწაული საკრეულაში“. თეატრს განზრახული აქვს მიმდინარე სეზონში დადგას ფრანგი მწერლების დიუმანუასა და დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“, ლ. ასათიანის „ილია ჭავჭავაძე“, ლ. ტოლსტოის რომანის „ანა კარენინას“ ინსცენირება და სხვ. ამ უკანასკნელის დასადგმელად თეატრის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მოიწვიოს რუსული საბჭოთა თეატრის წამყვანი რეჟისორები.

ს. მიხალკოვის „კიბოებით“ დაიწყო ეს სეზონი გრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატიულმა თეატრმა. თეატრის დასში მიღებულია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ვრუბლევსკაია, დასი შევსებულია აგრეთვე კ. სტანისლავსკის სახელობის მოსკოვის თეატრალური სასწავლებლის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა მსახიობებით. ამჟამად თეატრის კოლექტივი მუშაობს ა. ს. გრიბოედოვის უკვდავ კომედიაზე „ვაი ჭკუისაგან“.

„ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“ — ასე ეწოდება კ. მიუფკეს პიესას, რომლითაც დაიწყო წლევანდელი სეზონი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. სპექტაკლში მთავარ როლებს ძირითადად თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობა ასრულებს. თეატრის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, რომ ყოველ სეზონში ერთი სპექტაკლი მთლიანად ახალგაზრდების მონაწილეობით გაიმართოს. სეზონის მეორე ახალ სპექტაკლად თეატრი ამზადებს ი. გალანის თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესას „სიყვარული გარიჟრაჟზე“.

დაიწყო ახალი თეატრალური სეზონი. ისევ გამოცოცხლდა სცენა, ისევ ახმაურდა ტაშით მაყურებელთა დარბა-



მინკოს პიესა „გვარის დაუსახელებლად“. რეპეტიციას ატარებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გ. ლვინიაშვილი.



— თქვენ კი, ქალბატონო, ჯობს არ წახვიდეთ (სცენა სპექტაკლიდან „კიბოები“).






ზეპი. სცენის უკან კი—კულისებში მხატვრები ამზადებენ ახალ დეკორაციებს, გარდერობში იკერება ახალი კოსტუმები მომავალ სპექტაკლების მომქმედ პირთათვის, რეჟისორს მაგიდის ირგვლივ შემოუკრებია მსახიობები და ახალ პიესას უკითხავს მათ. ასეა თბილისის თეატრებში, ასეა რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში წელს ქართულ ენაზე პირველად იქნება ნაჩვენები ფონვიზინის „ზრდადაუმთავრებელი" („ნედოროსლ") ჭიათურის თეატრი კი ამზადებს ს. მიხალკოვის „კიბოებს" და ა. ოსტროვსკის „დაგვიანებულ სიყვარულს". ეს პიესებიც ქართულ ენაზე პირველად ჭიათურის თეატრში დაიდგმება.

საბჭოთა მაყურებელს უყვარს თეატრალური ხელოვნება. და ამიტომ ყოველ ახალ სეზონში უფრო მეტს და მეტს მოითხოვს სცენის ოსტატებისაგან. მოითხოვს, რომ თეატრის რეპერტუარი გამდიდრებული იქნას, როგორც თანამედროვე, ასევე უცხოური და რუსული კლასიკური ნაწარმოებებით, რომ სპექტაკლების იდეური და მხატვრული ღირებულება გაიზარდოს.

ჩვენი ქვეყნის თეატრთა კოლექტივები მთელი ენერგიით მუშაობენ საბჭოთა მაყურებლის ამ სამართლიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.


ეროვნული ბიბლიოთეკა

↑ სცენა სპექტაკლიდან „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება". ახალგაზრდა მსახიობები მზია მახვილაძე და ედიშერ მაღალაშვილი.

ი. გალახის პიესა „სიყვარული გარიჟრაჟზე" შავი რეპეტიცია. პიესას დგამს რეჟისორი ლ. იოსელიანი (ცენტრში). ↓





↑ რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, მსახიობები შ. ღამბაშიძე და პ. კობახიძე მუშაობენ დრამატურგ ვ. გაბისკირიასთან (მარცხნიდან მესამე) ერთად ახალი პიესის „უფსკრულთან" დადგმის გეგმაზე.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დეკორაციების საამქროში. „ევგენი ონეგინის" მე-6 სურათის დეკორაციების დამზადება. ↓





ფოტონარკვევი ოთ. თურქიასი

# ლაგოდეხის ნაკრძალი

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი სანახავია ლაგოდეხის ნაკრძალი. ეს ტყე ძველთაგანვე მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, როგორც მცენარეთა ჯიშებით ისევე ცხოველებით. ნაკრძალმა ჩვენს დრომდე შეინახა მცენარეთა ისეთი ძვირფასი ჯიშები როგორიცაა წაბლი, ლაფანი, ურთხელი (წითელი ხე), ბოყვი...

კავკასიის ფლორისა და ფაუნის იშვიათი ეგზემპლარების გადარჩენისა და მოშენების საკითხით ჯერ კიდევ ადრე დაინტერესდა გამოჩენილი რუსი მკვლევარი ბოტანიკოსი ნ. ი. კუზნეცოვი. მას დიდი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ მეფის მთავრობას ლაგოდეხის ტყე ნაკრძალად გამოეცხადებინა.

ნ. კუზნეცოვმა ამას კი მიაღწია, მაგრამ სინამდვილეში ხე-ტყის მოჭრაც გრძელდებოდა და ცხოველებზე ნადირობაც. ლაგოდეხის ტყე იჯარით ჰქონდა აღებული ვინმე დემიდოვ სან-დონტოს, რომელიც მთელს ამიერკავკასიაში ნადირთა მფლობელად ითვლებოდა. თვითონაც ეპატიჟებოდა და დაუპატიჟებლადაც მოეშურებოდნენ მასთან სტუმრად როგორც რუსეთიდან, ისე უცხოეთიდან და ამ ტყეში ერთობოდნენ ნადირობით.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეწყდა ლაგოდეხის ნაკრძალში ცხოველთა ხოცვაცა და ხე-ტყის ჭრაც, ნაკრძალს ნამდვილად ნაკრძალის სახე და შინაარსი მიეცა.

მშვენიერი სანახავია ეს ტყე.

თითქმის ორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზე აწვდილან წიფლები და ნიავის ოდნავ შემობერვაზე ირხევიან მისი კენწეროები. ასევე ტანმაღალი და გოლიათური შესახედაობისაა მაღალი მთის ნეკერჩხალი და მთის ბოყვი. ერთმანეთს მიჰყვებიან და ერთმანეთს სცვლიან რცხილა, თელა, იფანი, მაღალი მთის მუხა და ურთხელი. ამ ხეებს შორის ხშირად გვხვდება თითქმის ორი მეტრის სიმაღლის ბალახეული თავყვითელა, ფართოფოთლება მაჩიტა, მარიამა, ჭყიმი და კენკეშა. იქვე მრავლად არის მოფენილი — ხეებზე, ქვებზე და კლდეებზე — სურო, რომელსაც ისე ლამაზად და ისე მოხდენილად შემოურკალავს თავისი ფოთლები, თითქოს ადამიანს ხელოვნურად გაუშენებიაო.

აგერ, ტანმაღალ მურყანისათვის მოუსვენარ მდინარეს ძირი გამოუთხრია. ხის ფესვები მაინც ჩარჩენილა მიწაში, ოღონდ ტანი ვერ შეუმაგრებია და ძირს დასაცემად გადმოწეულა, მაგრამ წიფელი დახვედრია და მურყანიც დაყრდნობია წიფელს. ასე განაგრძობს სიცოცხლეს წიფლის ტოტებით შემაგრებული მურყანი.

აგერ ტანმსხვილი მუხა განრთხმულა. დაღუპულ დევგმირივით წევს. დიდხანს უცოცხლია, ძალიან დიდხანს. სიბერეს გაუხმია მისი ფესვები, დროს ჩამოუმტვრევია მისი ტოტები, კანიც შემოსკდომია და ახლა მის ახლო-მახლო იმ ბალახებსა და ყვავილებს გაუხარიათ, რომელთაც ასი წლობით ჩრდილს ჰფენდა. ყველგან, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ხეთა ბუნებრივი ამონაყარი, თითქოს ხეებიც ფიქრობენო თავიანთ მომავალზე, სტოვებენ შთამომავლობას.

თითქმის თორმეტი კილომეტრის მანძილზე მიიმართებიან ხეობები კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალებისაკენ, რომლის სამხრეთ ფერდობებზეც ნინიგორისა და კუდიგორის ქედებზე, დიდ და პატარა ქოჩალოს მთებზე გადაშლილია ეს ნაკრძალი.

დასავლეთით ნაკრძალის საზღვარი ნინიგორის ქედს მიჰყვება, აღმოსავლეთით მაწიმის ხეობას და მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკას ესაზღვრება, ჩრდილოეთით საზღვრავს მას დაღისტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ნაკრძალს მთლიანად ცამეტი ათასი ჰექტარი უჭირავს და მისი ორი მესამედი ტყით არის დაფარული. ტყე მთავრდება ზღვის დონედან 2300 მეტრის სიმაღლეზე.

აქ იწყება სუბალპური და ალპური მდელოები. ლაგოდეხის ხეობა, შრომის ხეობა, მაწიმისა და ბნელი ხეობა... აქ ბუნებას თავისი დიადი ფუნჯით სულ ახალ-ახალი და ნაირფეროვანი სურათები დაუხატავს: — დიდი სიმაღლიდან, გადმომჩქეფარი ჩანჩქერები, ხეობები, ზამთრობით მიყუჩებულნი, ხოლო გაზაფხულობით, წყლის მოვარდნისას, თავზარდამცემი ხმაურის ამტეხნი... წყალი მოშხუის კლდოვან კალაპოტში, ხან მაღალ ბალახებში იკარგება, ხან მის მიერვე გამოთხრილ კლდის ქვეშ მიჩხრიალებს თითქოს მიწაში ჩამალვა უნდაო, ხან ფართოდ გადაშლილა და მოაქვს ქვები, მოგლეჯილი ბუჩქები და მომტვრეული ტოტები

**ელიზბარ ზედგინიძე**

ტყეში ბილიკები ქედებისაკენ მიემართება, თანდათან უფრო საინტერესო ხდება ტყე. უფრო ხშირია, უფრო დაბურული. გხვდებათ გზაში გოგირდოვანი წყლები, რომლებიც უხვად მიჩხრიალებენ და ყვითლად შეუღებავთ ქვები. თავდება ტყე. გადავდივართ ალპურ ზონაში. აქ თვალწინ გადაგეშლებათ ალპურ ზონაში წარმოქმნილი პატარა ტბები.

შავი კლდის ტიები ეწოდება მათ. ყველაზე დიდი მათ შორის სიგრძით ერთი კილომეტრია, სიგანით რვაასი მეტრი. სარკესავით კრიალებს მისი ზედაპირი. ცივია. იგი წარმოშობილია თოვლის ნაზვავების დნობის შედეგად. აქ, ზღვის დონედან 3000 მეტრის სიმაღლეზე სიცივეა და მზე ვერ აშრობს მას თავისი დიდი მცხუნვარების პერიოდშიც კი.

ტყეების ზედა საზღვარზე იწყება ეგრეთ წოდებული „ბრძოლის საზღვარი". აქ ჰავა ებრძვის ტყეს და ზევით აღარ უშვებს, გაზრდა-გახარების საშუალებას არ აძლევს. მერე თვალწინ აღიმართება კლდოვანი მთები. ამ კლდეებში ცხოვრობენ ჯიხვები და არჩვები, ამ კლდეებში მრავლად არის ბუნებრივად წარმოქმნილი გამოქვაბულები, რომლებიც დიდ დარბაზებს გვანან — ერთდროულად 40-50 კაცს შეუძლია თავი შეაფაროს.

ნაკრძალის მცენარეულობა მრავალფეროვანია, ათასამდე სხვადასხვა სახეობისაგან შედგება. აქ ხარობს აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელი ყველა მცენარე. ამას გარდა ხარობენ ისეთი მცენარეებიც, რომლებიც არსად მსოფლიოში არ მოიპოვება და მხოლოდ ლაგოდეხის ნაკრძალისათვის არის დამახასიათებელი. ასეთებია ლაგოდეხის ცისფერი გენცინა, იისფერ-მოვარდისფრო ლაგოდეხის სკაბიოზა, იორდას სალამი და სხვები.

ფრინველების შეუნელებელი ჟივილ-ხივილი გაისმის ტყეში. ეს ჟივილ-ხივილი მათ შრომასთან არის დაკავშირებული. კოდალები, გვრიტები, გუგულები, მოლაღურები, ოფოფები, წიწკანები, თავშავები, მერცხლები — ოთხმოცამდე სხვადასხვა ჯიშის ფრინველები ლაღად ცხოვრობენ ნაკრძალში. არავინ სდევნის მათ. ისინი აცოცხლებენ ტყეს სტვენით, გალობით, ჭიკჭიკით და ამავე დროს იცავენ მას: დღემუდამ, ყოველწამს, პირდაპირ ხეთა ქერქის შიგნიდან გამოჰყავთ ხის მავნებელი მწერები, ჭიაღუები.

მდიდარია ნაკრძალი ცხოველებითაც. აქ ლაღად ნავარდობენ კავკასიის კეთილშობილი ირემი, აღმოსავლეთ კავკასიის ჯიხვი, არჩვი, შურთხი და შველი. ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც მათ თოფის ხმა არ გაუგონიათ და ალბათ არ იციან, რა არის მონადირე და მწევარი ძაღლები, რომელთაც

ლაგოდეხის ნაკრძალის უფროსი მეცნიერ მუშაკი ბიოლოგი მ. ტატულაშვილი აგროვებს მცენარე „პეონიას" თესლს.





ლაგოდეხის ნაკრძალის ტყისმცველი კ. კიკილაშვილი მოშინაურებულ შვლის ნუკრთან.

სხვა ტყეებში ცხოველები ყნოსვით თუ ალღოთი გრძნობენ და გაურბიან. ნაკრძალში ადამიანს ცხოველები თავიანთ მტრად არა სთვლიან, — ათიოდე ნაბიჯზე უშვებენ მათ. ადამიანები აქ მათ მოშრავლებაზე და დაცვაზე ზრუნავენ. მაღალ კლდეებში, არჩვსა და ჯიხვს ქვამარილს უწყობენ. ეს ცხოველებიც კლდეების ნაცვლად ახლა ნამდვილ მარილს ლოკავენ. მეტადრე გაზაფხულობით სჭირდებათ მათ მარილი, როდესაც ახლად ამოსული ნორჩი და ჩვილი ბალახი რძესავით ტკბილი და უმარილოა. ზამთრობით ნაკრძალის სხვადასხვა ადგილებში ცხოველებს თივის ზვინებსაც უწყობენ, მაგრამ თუ ზამთარი თბილია, თოვლი ძალიან მაღალი არ დევს, თივას მაინც, პირს არ აკარებენ, ნეკერი ურჩევნიათ და თხელ თოვლს ქვეშ შემონახული ბალახი. თოვლს ფეხებით ფხეკენ და ასე შოულობენ საზრდოს. ირმებს, არჩვებს და ჯიხვებს ძალიან უყვართ გოგირდის წყალი. ღამ-ღამობით, როდესაც ისინი საძოვრად დადიან, ჩამოდიან გოგირდის წყაროსთან, მთელ ღამეს იქ ატარებენ. დილით კი ჯიხვები და არჩვები თავიანთ მაღალ კლდეებს მიაშურებენ, ირმები და შველები კი სუბალპური ზონის ბალახებში ჩადუნასა და ბუერაში ნებივრობენ.

ერთადერთი საფრთხე მათ მტაცებელი მხეცებისაგან მოელით. დათვი, მგელი, ფოცხვერი ნადირობს მათზე, მაგრამ აქაც ადამიანები იცავენ მტაცებლებისაგან სუსტ ცხოველებს.

ნაკრძალის ხელმძღვანელობას დათვლილიც კი ყავს თავისი ცხოველთა სამეფო: ორი ათასზე მეტი ჯიხვი და რვაასამდე არჩვი ცხოვრობს ნაკრძალში.

ნაკრძალი საკვლევო-სამეცნიერო დაწესებულებაა. მისი დანიშნულებაა: შეისწავლოს და დაიცვას ნაკრძალში არსებული ფლორა და ფაუნა. ის შესანიშნავი ბაზაა მეცნიერული-კვლევითი მუშაობისათვის, სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისათვის და ტურისტებისათვის. დღემდე ამ ნაკრძალისადმი მიძღვნილი და გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი მეცნიერული შრომა. მათ შორის საინტერესოა მ. ი. კუზნეცოვის „ლაგოდეხის ხეობა, როგორც ბუნების ძეგლი", ა. ლ. მლოკოსევიჩის „ლაგოდეხის ხეობის ტყე", ნ. გ. ლამბარაშვილის „ლაგოდეხის ნაკრძალი — ფაუნა" და სხვები.

ნაკრძალში გატაცებით მუშაობენ მეცნიერ მუშაკები — ბიოლოგები მარო ტატულაშვილი და მირონ კუტუბიძე.

# ერთ კოლმეურნეობაში

კოლმეურნეობის საერთო კრებაზე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შედეგებს იხილავდნენ. სოფელ აჭყვისთავის მცხოვრებლები თითქმის უკლებლივ ესწრებოდნენ ამ საინტერესო კრებას.

მესამე ბრიგადის კომკავშირელი ბრიგადირი ოსმან რომანიძე მტკიცე სიტყვას იძლეოდა, რომ თვითეულ ჰექტარზე 4,5 — 5 ტონა ჩაის ფოთოლს მოკრეფდა და რომ ყოველი კილოგრამი უსათუოდ პირველი ხარისხისა იქნებოდა.

სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი სამოცი წლის იუსუფ ხაბაზი დინჯი და წყნარი ხმით მოუთხრობდა კრებას, თუ რა საშუალებებით ცდილობენ ისა და მისი მეგობრები — მიხეილ კომახიძე, მერან ანანიძე და რომან ხაბაზი ყოველ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდის მოყვანას...

პირველი მსოფლიო ომი მთავრდებოდა. ჰუსეინ კომახიძემ ბათუმიდან აჭყვისთავში ჭრაქი ამოიტანა. მთელი სოფელი ეყარა სანახავად. ხუმრობა ხომ არ იყო — თუნუქის პატარა სანათში ბოთლიდან რაღაც ვარდისფერი სითხე ჩაასხა ჰუსეინმა და მთელი ღამე გაუქრობლად აალაპლაპა იგი. ჭრაქს არც ფერფლი სცვიოდა და არც ალი უქრებოდა. ენთო და ენთო დილამდე. სოფლელები მოწიწებით უყურებდნენ ჭრაქსაც და მის მომტანსაც.

ახლა, როცა ამავე სოფლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ბალაძე მდინარე კინტრიშზე ელსადგურის მალე დამთავრების ამბავს ჰყვება, ეს აღარავის უკვირს სოფელში.

ამ სოფლის კოლმეურნეები წელს მეზობელ სოფლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეებთან ერთად საკუთარ ელსადგურს იშენებენ. ახალი ელექტროსადგური ორივე სოფლის ეზო-გარემოს გაანათებს, აამუშავებს ხე-ტყის სახერხ ქარხნებს და კიდევ მეტ სხივსა და სინათლეს მისცემს სოფელს.

ჭრაქიდან ელექტროსინათლემდე შრომის და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლეს აჭყვისთაველმა კოლმეურნეებმა. აჭყვისთავის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა ქობულეთის რაიონში ყველაზე მდიდარი კოლმეურნეობა როდია. პირიქით, ამ რაიონში ეს კოლმეურნეობა ჩვეულებრივია.

აჭყვისთავის კოლმეურნეობამ ომის შემდგომ წლებში, განსაკუთრებით ბოლო წლებში დაიწყო დიდი ნაბიჯებით წინ სვლა. იგი ორმოცდაათიან წლებში დავაჟკაცებული კოლმეურნეობაა. 1949 წელს მისი საერთო შემოსავალი მილიონ მანეთს ვერ აღწევდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ასეთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. აჭყვისთაველებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ახალგაზრდა კომუნისტი მიხეილ ბალაძე აირჩიეს.

ეს იყო 1950 წლის იანვარი.

1949 წლის მკაცრმა ზამთარმა ციტრუსების ნარგავები გაანადგურა. ყინვისაგან დამზრალი მანდარინის და ლიმონის ხეები იანვრის თვეში მინდვრად მოუჭრელად დარჩენილი ჩალის ღეროებივით გამოიყურებოდნენ. ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა კაცისათვის მეტად ძნელი იყო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა. კომკავშირში აღზრდილი ჭაბუკი ამ სიძნელეს არ შეუშინდა. კაცმა რომ თქვას, გამოცდილებაც ჰქონდა: ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში იგი კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა, მერე ბრიგადირი იყო კოლმეურნეობაში და მისი ბრიგადა არასოდეს სხვას არ ჩამორჩენია. აგროტექნიკოსადაც იმუშავა მიხეილმა და საბჭოს მდივნადაც. ხოლო როცა იგი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სწორედ იმ წელს მოიპარსა პირველად წვერი.

ჭაბუკი დიდი ენერგიითა და სიყვარულით ეკიდებოდა საქმეს. ოცდახუთი წლის ვაჟკაცი მეზობლებმა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ წამოაყენეს. ახალმა თავმჯდომარემ ყველაზე უფრო ენერგიული და ბეჯითი კოლმეურნეები მერგოლურებად თუ ბრიგადირებად წამოაყენა. გეგმებს გადახედა და დააზუსტა. გამოირკვა, რომ სოფლის შესაძლებლობანი ბევრად აღემატებოდა არსებულს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ იგი დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა ხალხის აზრსა და ფიქრს. თავმჯდომარე თვითეული კოლმეურნის აზრის და საქმის უაღრესად პატივისმცემელია.

აჭყვისთაველებმა დიდი ყინვებისაგან დამზრალი ციტრუსოვანთა 89 ჰექტარი ფართობიც აღადგინეს და 1952 წელს 152 ჰექტარამდე გაზარდეს ციტრუსოვანთა ბაღები. თუ მოყინვამდე კოლმეურნეობამ 380 000 ცალი ნაყოფი მოკრიფა, შარშან აჭყვისთაველებმა 550 000 ცალი ნაყოფი ჩააბარეს სახელმწიფოს.

1952 წელს 150 000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს აჭყვისთაველებმა, ე. ი. 90 000 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1949 წელს.

ყველაზე მთავარი ამ კოლმეურნეობის ცხოვრებაში მაინც ერთი ამბავია. მათ ერთხმად გადასწყვიტეს ყოველთვის მხოლოდ პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფონ და ჩააბარონ სახელმწიფოს. ეს არც ისე ადვილია და მოითხოვს მკრეფავების დიდ დაოსტატებას. ამ შესანიშნავ ინიციატივას, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ეჭვით შეხვდა. გამოგზავნეს კომისიები, სპეციალისტები. ფაქტი მეტად მტკიცე გამოდგა. გამოირკვა და დადასტურდა, რომ ჟდანოველები მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლს არ კრეფენ.

1952 წელს ჩაის ფოთლის ასე ხარისხოვნად კრეფისათვის 89 000 მანეთი მარტო პრემია მიიღეს კოლმეურნეებმა. ამავე წელს სიმინდის მოსავალი თვითეულ ჰექტარზე 21.4 ცენტნერით გაიზარდა და შრომადღეზე ოთხჯერ მეტი დარიგდა ვიდრე 1949 წელს. იმატა კოლმეურნეთა დოვლათმა.

მარტო ამ უკანასკნელ ორი წლის მანძილზე ოცდახუთი სახლი აიშენეს აჭყვისთაველმა კოლმეურნეებმა. დგანან ეს ახლად აგებული ნათელი, ლამაზი ოდები მუდამ მწვანე ციტრუსთა ბაღებით გარშემორტყმულნი და ქვეყანას ამცნობენ ამ სოფლის შრომისა და დოვლათის ამბავს. არც ერთი ახალი სახლი ოთხ თვალზე ნაკლები არ არის.

სოფლის გზებზე ყოველდღიურად დაჰქრიან კოლმეურნეთა საკუთარი მსუბუქი მანქანები. ახალთ-ახალი საუკეთესო რადიომიმღებნი ყოველ დილით კრემლის კურანტების საამო ხმით აღვიძებენ ადამიანებს.

ყველაფერი ეს ახარებს კოლმეურნეებს და მათ თავმჯდომარეს, მაგრამ ერთ მთავარ საქმეში მაინც სისუსტეს გრძნობდა მიხეილ ბალაძე — უმაღლესი განათლება აკლდა.

ადვილი როდია კოლმეურნეობას უხელმძღვანელო და თან ისწავლო კიდეც. არც ამას შეუშინდა ახალგაზრდა თავმჯდომარე. აჭყვისთავის კოლმეურნეობაში წამყვანია სუბტროპიკული კულტურა და სწორედ ამ ფაკულტეტისაკენ მიუწევდა გული მასაც. მიხეილ ბალაძე დაუსწრებლად შეუდგა მეცადინეობას. ახლა იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია.

მარტო თავისი ცოდნის ამაღლებაზე როდი ფიქრობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მისი ინიციატივით ამჟამად 16 ოთახიანი ორსართულიანი სკოლა შენდება. შესანიშნავი ლამაზი შენობა თავისი ლაბორატორია-კაბინეტებით წელს დამთავრდება. მასწავლებელთათვის უკვე მზად არის ოთხთვალიანი მშვენიერი ახალი ოდა.

კოლმეურნეობა დიდი აღმავლობით მიდის წინ. თავიანთ პირობას სასახელოდ ანაღდებენ აჭყვისთაველი კოლმეურნეები. მათი ფულადი შემოსავალი ოთხნახევარ მილიონ მანეთს გადააჭარბებს; თვითეულ შრომადღეზე ამ კოლმეურნეობის წევრები ექვსჯერ მეტ ფულად ანაზღაურებას მიიღებენ, ვიდრე 1949 წელს.

სულ მალე ამ სოფლის კოლმეურნეები, მალენკოვის სახელობის მეზობელ კოლმეურნეებთან ძმურ კავშირში, საკუთარი ელსადგურით გაანათებენ დოვლათით სავსე, ბედნიერ საკოლმეურნეო სოფელს.

მ. ასათიანი

# არქიტექტორი და გამომგონებელი

თბილის-მოსკოვის მატარებელი საქართველოს საზღვარს გასცილდა და ახლა სადგურ კუბანსკაიას უახლოვდებოდა. კუპირებული ვაგონის დერეფანი ცარიელი იყო. მგზავრებს ეძინათ.

როდესაც ორთქლმავალმა სადგურს შიაკივლა დერეფნის ბოლოში კარები გაიღო და კუპიდან ვაგონის გამცილებელი გამოვიდა. იგი ხწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა ერთ-ერთ კუპეს და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. „რამდენჯერ მთხოვა და კინაღამ დამავიწყდა მისი გაღვიძება“ — გაიფიქრა გამცილებელმა. ცოტა ხნის შემდეგ ვაგონის დერეფანში ახალგაზრდა, შავგვრემანი კაცი გამოვიდა.

— ვუახლოვდებით? — ჰკითხა მან გამცილებელს.

— დიახ, ერთი წუთიც და იქ ვიქნებით.

ახალგაზრდა დერეფანს გაჰყვა.

— ჩემოდანი გავიწყდებათ! — წამოიძახა გამცილებელმა.

— არა, მე აქ არ ჩამოვდივარ! —

ორთქლმავალი სადგურ კუბანსკაიაში გაჩერდა. მატარებლიდან ერთადერთი მგზავრი გადმოვიდა ჯერ დიდხანს ათვალიერა სადგურის ფასადი, მერე მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში შევიდა, აქედან სადგურის რესტორანში შეიხედა, საპარიკმახეროშიც შეიჭვრიტა და ისევ უკან დაბრუნდა. ვაგონის კიბეებთან გამცილებელი იდგა.

— ჩქარა, უკვე მივდივართ! — წარმოთქვა მან და გაიფიქრა — არც არავინ დახვედრია და არც არაფერი უყიდია, ნეტავ რა უნდოდა სადგურში? — მაგრამ შეკითხვას მოერიდა.

მატარებელი დაიძრა. გამცილებელი ფარნით ხელში ვაგონის კარებთან დარჩა. ახალგაზრდა კი უკვე თავის კუპეში იჯდა. ჩაბნელებულ ფანჯარაში იყურებოდა და ფიქრობდა: ეს იყო სამამულო ომის წლებში. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არქიტექტორი ვახტანგ კვიმსაძე ჩრდილოეთ კავკასიაში გაანაწილეს სამოქალაქო ნაგებობათა აღდგენით სამუშაოებზე. სწორედ მაშინ შეიმუშავა ახალგაზრდა ინჟინერმა გერმანელ ფაშისტების მიერ დაიგრეულ სადგურ კუბანსკაიას ახალი პროექტი. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ვახტანგ კვიმსაძე, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ინჟინერი, მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება. მისი პროექტით თბილისში აგებული იქნა საქართველოს პირველი და მეორე სასწავლო საწარმოო კომბინატის შენობები, სადაც ამჟამად მაღალხარისხოვან ტრიკოტაჟს ამზადებენ, საქტანსაცმელის ტრესტის შენობა საბჭოს ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლები ბარნოვის და მიცკევიჩის ქუჩებზე, ახალი მაღაზია (№ 7) პლეხანოვის პროსპექტზე და სხვა მრავალი საცხოვრებელი და სავაჭრო ორგანიზაციების სახლი საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ახალგაზრდა არქიტექტორს გამომგონებლის ნიჭიც აღმოაჩნდა. შარშანწინ ვახტანგ კვიმსაძემ შექმნა ელექტრო ავტომატური აპარატი მაყურებელთა კინოდარბაზებისათვის. ეს იყო მისი პირველი გამოგონება, რომელმაც მოწონება დაიმსახურა, როგორც, სპეციალისტების ასევე მაყურებელთა შორის. ამის შემდეგ გამომგონებელმა შეიმუშავა ავტომატური კომუტატორის პროექტი, საქალაქთაშორისო სალაპარაკო სადგურების ქსელისათვის.

დღეს კი მას სულ ახალი გამოგონება მიჰქონდა მოსკოვში, სამშენებლო საქმის სამინისტროსთან არსებულ საგამომგონებლო ბიუროში წარსადგენად. ეს გამოგონება ეხებოდა — ფასადთა მოსაპირკეთებელი სამუშაოების მექანიზაციას, ხარაჩოების მოუწყობლად.

ვახტანგს ჯერ არ ენახა თავისი პირველი განხორციელებული პროექტი — სადგური კუბანსკაია. და სწორედ ამიტომ სთხოვა გამცილებელს გაღვიძება, როგორც კი მატარებელი სადგურს მიუახლოვდებოდა.



# ჭადრაკი

**გ. ნადარეიშვილი**

## ეტიუდი

თეთრები იწყებენ და იგებენ.

| | |
|---|---|
| 1. ე$e_8$—$b_8$+ | მფ$b_6$—$a_5$ |
| 2. მ$f_8$—$h_7$ | მფ$a_5$—$a_6$ |
| 3. მფ$d_6$—$c_5$ | მფ$a_6$—$a_5$ |
| 4. მფ$c_5$—$d_4$ | მფ$a_5$—$a_6$ |
| 5. მფ$d_4$—$e_3$ | მფ$a_6$—$a_5$ |
| 6. მფ$e_3$—$f_2$ | მფ$a_5$—$a_6$ |
| 7. მფ$f_2$—$f_1$ | . . . . . |



აქამდე მეფეს არ შეეძლო თეთრ უჯრაზე გადასვლა, კუს მხრივ ქიშის მუქარის გამო

| | |
|---|---|
| 7. . . . . . | მფ$a_6$—$a_5$ |
| 8. მფ$f_1$—$e_1$ | მფ$a_5$—$a_6$ |
| 9. მფ$e_1$—$f_2$ | . . . . . |

თეთრებმა მეფით გააკეთეს სამკუთხედი $f_2$—$f_1$—$e_1$ და ამით მოიგეს პირველი ტემპი

| | |
|---|---|
| 9. . . . . | მფ$a_6$—$a_5$ |
| 10. მფ$f_2$—$e_3$ | მფ$a_5$—$a_6$ |
| 11. მფ$e_3$—$d_4$ | მფ$a_6$—$a_5$ |
| 12. მფ$d_4$—$c_5$ | მფ$a_5$—$a_6$ |
| 13. მფ$c_5$—$b_4$ | $d_7$ — $d_6$ |

თეთრების მიზანია შავები ჩააყენონ ცუგცვანგში (კარგი სვლების უქონლობა) შავები d პაიკის სვლების ამოწურვის შემდეგ იძულებულნი არიან კუთი ან ლაზიერით გააკეთონ სვლა, რომლის შემდეგ მოგება ნათელია. d პაიკის სვლების ამოწურვისათვის თეთრმა მეფემ კიდევ ორჯერ უნდა გაიმეოროს ზემოთ მოყვანილი მარშრუტი:

$$b_4—e_3—d_4—e_3—f_2—f_1—e_1—f_2—e_3—d_4—c_4—b_4.$$

ეტიუდი შედგენილია ტემპის მოგების იდეაზე.

## მთვარის ყვავილი

ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩის კუთხეში, პატარა ყვავილნარზე ხარობს ერთი მეტად საინტერესო ყვავილი. მხვევანა ყლორტებით იგი მავთულს გაშყოლია და ყვავილნარის ცენტრში არსებულ საათის საყრდენს შემოხვევია.

დღისით ყვავილს ხძინავს. მისი კოკრები დახურულია. როგორც კი მზე ჩავა, ყვავილი იღვიძებს და ისე სწრაფად იშლება მისი კოკორი, რომ თუ დააკვირდებით შეამჩნევთ კიდეგაც მოძრაობას. ყვავილი იშლება 70-80 წამის განმავლობაში. ბოლოს მისი გვირგვინი ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმას ილებს და მზის ამოსვლამდე შესცქერის ცას.

მთვარის ყვავილი მხვევანა მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის. მის სამშობლოდ სამხრეთ ამერიკა ითვლება. იგი აკლიმატიზირებული იქნა საბჭოთა კავშირში. ორი წლის წინათ კი აშხაბადიდან თბილისს ჩამოიტანეს მისი თესლი და ახლა ჩვენი ქალაქის მრავალ ყვავილნარს ამშვენებს.



# კროსვორდი



ჰორიზონტალურად:

3. ბგერათა უთანხმოვნობა მუსიკაში. 8. სადგური კახეთში. 9. ძველი საბერძნეთის მათემატიკოსი. 11. რიცხვი. 12. ბუნებრივი წყალსაცავი. 15. ქალაქი ლატვიაში. 17. გამომგონებელი, შემთხზველი. 19. ქართველი სახალხო გმირი. 20. მუსიკალური შესავალი. 21. გამოცანის ნაირსახეობა. 22. საშუალო წოდება ესპანეთში. 23. პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი სახეთაგანი. 24. ყარაული. 25. ჩასაცმელი. 28. სტიქიური მოვლენა. 29. სასულიერო წოდება. 31. ცოცხალი ორგანიზმის ნაწილი. 32. მცირე აზიის უძველესი ქალაქი. 33. მარტოდ შემსრულებელი, მუსიკალურ ან თეატრალურ ხელოვნებაში 35. საერთაშორისო ენა. 36. არქიტექტურული შენობა. 37. რელიგიური დანიშნულების შენობა. 39. ვერდის ოპერა. 40. ცხოვრების აღწერა.

ვერტიკალურად:

1. ქალაქი საფრანგეთში. 2. ავეჯი. 4. მოჩვენება. 5. ტაძრის ნაწილი ვატიკანში. 6. ნახევარკუნძული აღმოსავლეთში. 7. ელექტრომაგნიტური ხელსაწყო. 10. მეფის ტიტული იაპონიაში. 11. შეხედულება რაიმეს მიმართ. 13. წარწერა ამა თუ იმ დაწესებულების შესაცნობად. 14 თვალის ავადმყოფობა. 15. ჯარის სახეობა. 18. ფიზიკური კანონი. 19. დეკორატიული ხე, რომლისაგანაც იღებენ ერთგვარ აბრეშუმს. 26. უმაღლესი სამეცნიერო ან სპეციალური დაწესებულება. 27. საწამლავი ნივთიერება. 28. უვიტამინო საჭმლის ნიადაგზე წარმოქმნილი დაავადება. 29. ქალაქის თავი ევროპაში. 30. დიდი ქართველი მწერლის სახელი. 33. დასახლებული ადგილი. 34. სარწმუნოებრივი მოძღვრება. 38. საქართველოს ერთ-ერთი ძველი კუთხის მკვიდრი. 39. ორგანიზმის დაზიანება მექანიკური ზემოქმედებით.

## ჟურნალ „დროშის“ № 8-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად:

11. ტონა. 12. ნორა. 13. პირამიდონი. 14. ორთოგრაფია. 15. ბურჯი. 16. გრამატიკა. 18. აქილი. 19. ერეზია. 23. მოლიერი. 26. მაგნიტი. 27. ირონია. 28. აფხაზი. 32. ალვეოლი. 33. ახტალა. 34. ატლასი. 37. ნაგოა. 38. კრუპსკაია. 39. ბირმა. 42. ორჯონიკიძე. 45. ჰიპოპოტამი. 47. ორბი. 48. კილი.

ვერტიკალურად:

1. მორი. 2. გამარჯვება. 3. სირია. 4. ლომოური. 5. წავი. 6. გუნო. 7. თითიკი. 8. ლარგო. 9. ანტარქტიკა. 10. არხი. 17. რაზინი. 19. ენერგია. 20. ჰიპერბოლა. 21. დარიალი. 22. სტაფილო. 24. ჰორიზონტი. 25. ინდოეთი. 29. ასტრონომია. 30. კერესი. 31. სტატისტიკა. 35. არტისტი. 36. დისპუტი. 40. რიონი. 41. ოპერა. 43. რური. 44. ერგი. 45. ჰავა. 46. მოლი.


რედაქტორი — გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6 XI-53 წ. გამომც. № 165 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 790 უე 13217

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



წყალტუბო. მეშახტეთა სანატორიუმი.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
18
5376

ფასი 3 მან.



ნ. ოსენევი. საბჭოთა ხელისუფლების პირველი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა